



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბილი ბუქე-
უბი სიფყავა, ცუდილებით და ჭიბიბით ბუბ-
თის გაფანა ყუელა უჯადისთბაჭე უსაბაგოლსია.



გაიქცა 1918 წლის
25 ივლისიდან

რეპრეზენტატივა


სამშაბათი, 16 აპრილი. 2019 წ. №75 (8741) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი



აკადემიკოსი თამაზ ნატრიაშვილი:
ჩვენი მთავარი პრობლემა
კვალიფიციური
④-⑤ კადრების
დეფიციტია!

„რამოუყალიბებული ბრძოლის
რამოუყალიბებული სტრატეგია

„მამის“ ③
წინააღმდეგ
„ამბოხებულს“
არაპინ
დაუჯერებს!




„დაიცავი საქართველოს“ ძალიან
გაუჭირდება ვ-პროცენტინანი
ბარნირის გაფლანგვას კი!

– ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომლებმაც „დაიცავი საქართველოს“ 13 აპრილს გამართული შეკრების შეფასება სთხოვეს.
„ზოგად სურათს თუ ნახავდით, ლიდერებს, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ დარბაზში, აშკარაა, რომ ამ გაერთიანებას ძალიან გაუჭირდება ვ-პროცენტინანი ბარნირის გადალახვა კი. როდესაც მინუს პროცენტებით იწყებ, ამ სახეებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ვ პროცენტამდე ასვლა არის ძალიან რთული. ძალიან ხშირად ქარბობს ხოლმე სუბიექტური ინტერესები, როდესაც ასეთ პროცენტებს ვაკვირდებით. ამის ნაკლებობა იქ არ არის“.

არასწორი კვება უფრო
მეტ ალამიანს კლავს
მსოფლიოში,
ვიღრე
თამბაქოს
მონევა!

⑦



რატომ ⑤
არ ეშვება
სანდრა
რულოვსი
ზუბიღის?

სეცხლის
გაღმოსვლის სერეპონიაში
მონანილოვის
მსურველ ქართველთა
საუბრაღლებოდ!

საქართველოს საელჩო ისრაელში მოქალაქეებს აფრთხილებს და განცხადებას ავრცელებს.
„2019 წელს ცეცხლის გადმოსვლის ცერემონია გაიმართება 27 აპრილს, მაცხოვრის ტაძარში, იერუსალიმის ძველ ქალაქში. ათასობით მომლოცველი დაესწრება ცეცხლის გადმოსვლის ცერემონიას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნების ოფიციალური დელეგაციები.
მოქალაქეთათვის მნიშვნელოვანია, იცოდნენ, რომ ყოველ წელს ისრაელის პოლიცია ცეცხლის გადმოსვლის ცერემონიის დროს უსაფრთხოებისათვის იღებს განსაკუთრებულ ზომებს. ამ დღისათვის ყველა მოქალაქეს, რომელსაც აქვს ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა, მოსალოდნელი ხალხის სიმრავლის გამო, რეკომენდებულია, თავი შეიკავონ მაცხოვრის ტაძარში მისვლისგან.
ის პირები, რომლებიც დაესწრებიან ცეცხლის გადმოსვლის ცერემონიას, უნდა დაემორჩილონ პოლიციის პირველივე მითითებას ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით. დაუშვებელია იმ პირებისათვის წინააღმდეგობის განწევა, რომელთაც ევალებათ ტაძარში და მასთან მისასვლელ გზებზე წესრიგის დამყარება.
გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ მოქალაქის მხრიდან, თუნდაც თხოვნის ტონით შეპასუდება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სამართალდამცავი ორგანოს მიმართ წინააღმდეგობის განწევა და შესაბამისად ხალხის სიმრავლის გამო და წესრიგის დამყარების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძალა.
აუცილებელია, ყველა მოქალაქე მოერიდოს სასულიერო პირებთან კამათს, რომელთა ფუნქციებშიც შედის ტაძარში წესრიგის დამყარება.
მოქალაქეები უნდა მოერიდონ იერუსალიმის ძველ ქალაქში ე.წ. სპეციალური „ბრასლეტების“ – ტაძარში შესვლის საშვების შექმნას. იერუსალიმის პოლიციის თანამშრომლების მიერ მსგავსი ტიპის გაყალბებული „ბრასლეტების“ მქონე პირები გამოძევებულ იქნებიან მაცხოვრის ტაძრიდან.
იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე დაიკარგა ძველ ქალაქში, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს პოლიციას შემდეგ ტელეფონის ნომერზე: +972 26226100 (პოლიციის თანამშრომელი მიიყვანს მას უახლოეს პოლიციის განყოფილებაში) და დაუკავშირდეს საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურს.
ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სავიზო და სხვა სახის საზღვრის კვეთის მოთხოვნები საკმაოდ რთულია. დარწმუნდით, რომ გამოგზავრებაზე კარგად გაეცანით ისრაელის საემიგრაციო პოლიტიკას. ისრაელის დღესასწაულების და საზაფხულო ტურისტული სეზონის დღეებში გაითვალისწინეთ, რომ დაგჭირდებათ დამატებითი დრო, რათა გაიაროთ უსაფრთხოების კონტროლი აეროპორტში. ამ პერიოდში ისრაელი აძლიერებს უსაფრთხოების ზომებს. დამატებითი სასარგებლო ინფორმაცია ისრაელის საზღვრის კვეთისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ შემდეგ ბმულზე: israel.mfa.gov.ge“.

ანონსი სვალის ნობერში
ქართული პოლიტიკის
„პარდისფერი კვარტლის ვნებაში“
„რა ძნელია, რუსთაველო,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო!“

მამუკა ბახტაძე რუმინეთში

საპარტოვლოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე რუმინეთის სენატის პრეზიდენტს კალინ პოპესკუ-ტარნიცეს შეხვდა. ინფორმაციას პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ავრცელებს.

პრესსამსახურის ცნობით, საუბარი შეეხო ორმხრივი ურთიერთობების შემდგომ განვითარებას, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, მიმდინარე რეფორმებსა და ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობას.

ხაზი გაესვა საქართველო-რუმინეთის მალაღობის პოლიტიკურ დიალოგს და ეკონომიკური კავშირების მასთან შესაბამისობაში მოყვანის მნიშვნელობას. დადებითად შეფასდა ევროპული ინტეგრაციის

გზაზე საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები. პრემიერ-მინისტრი მიესალმა რუმინეთის, როგორც ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის აქტიურ მხარდაჭერას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი და ყურადღება გაამახვილა ევროკავშირის დღის წესრიგში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მალაღობაზე შენარჩუნების აუცილებლობაზე.

რუმინეთის სენატის პრეზიდენტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა. შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და რუმინეთის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, დეპუტატი ისკო დასენი დაესწრნენ.



სალომე ზურაბიშვილი ფეისალ ალ-ფაიჰის უხვდა

საპარტოვლოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ იორდანის სენატის პრეზიდენტს ფეისალ ალ-ფაიჰის შეხვდა.

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-იორდანის შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაზე ისაუბრეს, რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, მათ შორის: ეკონომიკური, სავაჭრო, ტურიზმის, კულტურისა და განათლების კუთხით თანამშრომლობის გააქტიურებასა და გაფართოებას.

დელეგაციებმა შეხვედრაზე საქართველოს ოკუპირებულ



ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება განიხილეს. სალომე ზურაბიშვილმა დადებითად შეაფასა ვიზიტის ფარგლებში, ფეისალ ალ-ფაიჰის საოკუპაციო ხაზთან, ოკუპანტების მიერ მავთულხლართებით გაყოფილ სოფელ ხურვალეთში გამგზავრება და აღნიშნა, რომ იორდანის ჰაშიმიტური სამეფოს სენატის პრეზიდენტი, აღნიშნული სოფლის მონახულების შემდეგ, პირადად დარწმუნდება, თუ რამდენად რთულია დედაქალაქთან ახლოს და ცენტრალური მაგისტრალიდან რამდენიმე კილომეტრში საოკუპაციო ხაზის არსებობა.

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით გა-

ნაცხადა, რომ აღნიშნული კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა გადაიჭრას. შეხვედრისას ყურადღება გაამახვილა კულტურული კავშირების განვითარების პერსპექტივებსა და კლდეში ნაკვეთი ქალაქების კონსერვაციის მიმართულებით იორდანის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე. ასევე, მხარეებმა საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების ურდის შესაძლებლობებზე ისაუბრეს და იორდანის ჰაშიმიტური სამეფოს სენატის პრეზიდენტმა, რომელმაც ბოდიშის მონასტერში მორიხულა, ტურიზმის ამ მიმართულების პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება.

მხოლოდ იდეა, თუნდაც ბენიალური, არ კმარა!

საპარტოვლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულაია საქართველოში იტალი-



ის ელჩ ანტონიო ბარტოლისთან ერთად, თბილისის ტექნოპარკში ახალგაზრდა ინოვაციორთა დაჯილდოების ცერემონიას დაესწრო. კონკურსი COTEC-სა და GITA-ს შორის 2018 წელს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სერჯო მატარელას (რომელიც COTEC-ს საპატიო პრეზიდენტიცაა) საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში ჩატარდა.

„ტექნოლოგიები და ინოვაციები ჩვენი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია, რადგან ვინცერთ თანამშრომლობას იტალიის მხარესთან. იტალია ინოვაციების სფეროში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა მსოფლიოში, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, ბევრი ვისწავლოთ იტალიისგან“, - აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დაჯილდოების ცერემონიაზე.

ცერემონიაზე გიორგი ქობულაიამ კონკურსში გამარჯვებული ორი ქართველი ახალგაზრდა ინოვაციორი - გურამ ცირეკიძე და ნინო გრიგალაშვილი გამოავლინა, რომლებიც სამთვლიან სტაჟირებას გაივლიან იტალიაში. გიორგი ქობულაიას თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ორი ქართველი ახალგაზრდა ინოვაციორს და სტარტაპერს საშუალება ექლევათ, იტალიაში გაიარონ სამთვლიანი სტაჟირება ძალიან მონინავე ინოვაციური კომპანიებში.

გუშინვე თბილისის ტექნოპარკში იტალიის საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა სემინარი თემაზე - „გადასვლა იდეიდან წარმოებაზე, ინტუიციიდან - ბიზნესზე“, ერთმანეთისგან ისეთ განსხვავებულ დარგებში, როგორცაა მექანიკა, ინფორმატიკა, ინოვაციური მასალები თუ სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებ-

ბი. სემინარზე იტალიიდან სპეციალურად ჩამოსულმა ინოვაციის სფეროს ექსპერტებმა საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს ქართველ კოლეგებს.

„მხოლოდ იდეა, თუნდაც გენიალური, არ კმარა. იდეას განხორციელება სჭირდება. სემინარის იტალიელი მონაწილეები მსმენელს ჩვენი ინოვაციური ეკოსისტემის მთავარი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობაზე უამბობენ და საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ. ეს ღონისძიება იდეების გაცვლისა და იტალიასა და საქართველოს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის შესანიშნავი შესაძლებლობაა“, - აღნიშნა იტალიის ელჩმა საქართველოში ანტონიო ბარტოლიმ.

FAO-ს ბენეკალური ღირებულებების კანდიდატმა დაპირდა ქირვალისა და ნინასაარჩევნო პროგრამა წარადგინა

საპარტოვლოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი რომში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ქვეყნების მიერ წარდგენილი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამების პრეზენტაციას დაესწრო.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საბჭოს სხდომაზე საქართველოს მიერ წარდგენილი კანდიდატმა დავით კირვალისმა საკუთარ გამოსვლაში ორგანიზაციის რეფორმირების აუცილებლობას, პროფესიონალი, მალაღობადაცხადებული კადრების მოზიარების მნიშვნელობას, ორგანიზაციის დეცენტრალიზაციისა და გარემოსდაცვითი და სასურსათო უსაფრთხოების სისტემების გაძლიერების აუცილებლობას გაუსვა ხაზი.



აღსანიშნავია, რომ რომში, პოლიტიკის სწავლება იტალიის ტექნიკურ უნივერსიტეტში, FAO-ს გენერალური დირექტორის ქართველი და ფრანგი კანდიდატების დებატები გაიმართა თემაზე „სასურსათო უსაფრთხოების მიღმა“. დებატების მიზანია, ხელი შეუწყოს კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამების გამჭვირვალობას, საზოგადოების ჩართულობასა და ცნობადობის გაზრდას. დებატები მალაღობადაცხადდა და მასში მონაწილეობდნენ არასამთავრობო სექტორის, აკადემიური წრეების, FAO-ს წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები და აკრედიტებული მედია.

ბურჯი ეროვნებისა 3D ვიდეოინსტალაცია „ქართული ხელნაწერები“ მოეწყო



დედაქალაქის მერიის ორგანიზებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.

ღონისძიება საზეიმოდ გახსნა ანსამბლმა „მძლე-ვარმა“. უნივერსიტეტის ბაღში მთელი დღის განმავლობაში განთავსებული იყო ქართულ ენასთან დაკავშირებული შემეცნებითი ინსტალაციები და საბავშვო კუთხე. ასევე, ნიაზ დიასამიძის და ჯგუფის „33ა“ კონცერტი. დედაქალაქის საკრებულოს შენობაზე მოეწყო 3D ვიდეოინსტალაცია „ქართული ხელნაწერები“, რომელზეც წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული უნიკალური კოლექცია. თანამედროვე, კონცეპტუალური ხედვით ნაჩვენებები იყო ვიზუალური ინფორმაცია ქართულ იდენტობასა და საქართველოს ინტელექტუალურ-კულტურულ წარსულზე.

ჩაიშვალა ბრძოლის ჩაიშვალა სტრატეგია

13 აპრილს ფილარმონიაში არ ვყოფილვარ. მიუხედავად იმისა, რომ იდეა „დაიცავი საქართველო“ მთლიანად არის ჩემში გამჯდარი როგორც გენეტიკურად, ისე არსებული მდგომარეობის გამოც და ბოლო-ბოლო იმ მიზეზითაც, რომ ამ მოძრაობაში მისი დაარსების პირველივე წუთებიდან ვიყავი, ფილარმონიაში მაინც არ წავედი.

არის ასეთი რუსული გამოთქმა *русские долго запрещают, но быстро едут* (რუსები ნელა იკაზმებიან, მაგრამ სწრაფად მიდიან). ქართველები კი პირიქით – სწრაფად შეიკაზმებიან, მაგრამ მერე მძიმედ აგრძელებენ გზას.


სამწუხაროდ, ეს „სწრაფი შეკაზმვა და შემდგომ მძიმედ გაგრძელებული გზა“ ამ ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრჯერ განახლდა. მტკიცებულადაა ვნახეთ სააკაშვილის დროინდელი იმ ე.წ. „ქართული რევოლუციების“ დროს, რომლის დროსაც 300 000 კაცი ისე „იბრძოდა“, რომ „რუსთაველზე ხიდან ფოთოლიც არ ვარდებოდა“.

ის ხალხი, ვინც შაბათს ფილარმონიაში მართლაც უზენაესი იდეით – „დაიცავი საქართველო“ შეიკრიბა, ჩემი მეგობრები არიან. მეგობრები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მე მათთან ერთად არა მხოლოდ „დაზვერვაში“, არამედ უშუალო ბრძოლაშიც რიგით ჯარისკაცად ვყოფილვარ და ხშირად გული დამწყვეტია იმის გამო, რომ დანებებული საქმე, სხვადასხვა მიზეზის გამო ბოლომდე არ მისულა. ამ მიზეზებზე ახლა არ გავამახვილებ ყურადღებას, რადგანაც ჩემი მხრიდან დღეს ამაზე საუბარი უნამუსობად მიიჩნევა და ამის ნაცვლად, სჯობს, ვილაპარაკო იმ მოლოდინებზე, რაც თუნდაც პარასკევს, შეკრებამდე ერთი დღით ადრე მქონდა და შედეგზე, რომელიც შაბათს ვერ დავინახე. შედეგი ვერ დავინახე ვერც დანარჩენ დღეებში, გარდა იმისა, რომ „რუსთაველ-2“ ლიციინებდა, იმედი ფრთხილად აშუქებდა და ხალხის დიდი ნაწილი გაკვირვებული იყო.

მოკლედ რომ ვთქვა, ჩემი მკაცრად სუბიექტური აზრი ამ შეკრებასთან დაკავშირებით არის ის, რომ ვერ დავინახე შეკრების რეალური მიზეზი და ღირსეული გაგრძელების ანონსი.

რატომღაც, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს იყო „შეკრება შეკრებისთვის“ და მეტი არაფერი.

არ ითქვა მთავარი – რა მოხდება ხვალ. იქნება თუ არა აქციები, აკადემიური მსჯელობები, პროგრამაზე მუშაობა და საზოგადოებისთვის მიწოდება, პროკლამაციების ბეჭდვა თუ მტკვარში კრეისერი „ავრორას“ შემოცურება. რა მოხდება?



არ ითქვა არაფერი იმის გარდა, რომ „ამ დღეებში ავიღებთ ოფისს“, „დავკონკრეტებთ“, „ჩამოვყალიბებთ“ და.შ.

არ იყო მკაცრი გამოთქმები იმ მთავარ მიზეზზე, რაც საქართველოს დაცვას გვაავალდებულებს.

გასაგებია, რომ მოსამართლეთა თემა ძალიან სენსიტიურია და მისი ნებაზე მიშვება არ შეიძლება, მაგრამ უმთავრესი, რისგანაც უნდა დავიცვათ საქართველო, მაინც ის მახინჯი მსოფლმხედველობაა, რასაც ნაცები, ე.წ. არასამთავრობოები თავიანთ დასავლელ პარტნიორებთან ერთად, „რუსთაველ-2“ და მასზე აწყობილი მედია, ე.წ. „ცნობადი სახეები“, „მწერლები“, ვითომ „პრადვინტები“ და.შ. ამკვიდრებენ.

13 აპრილის ფაქტობრივად არაფერი თქმულა ნაციონალურ მოძრაობაზე. მათს რევანშისტულ გამოსტუმრებზე. ნაცმენტალობასთან ოცნების დაახლოებაზე და იმ საფრთხეზე, რისკენაც მივდივართ.

ველოდი, რომ დარბაზში იქნებოდა ირმა ინაშვილი და ჰოი, საოცრებაც – დავით უსუფაშვილი დავინახე.

ირმა ინაშვილი იმიტომ, რომ ის დღეს ერთადერთია, ვინც საქართველოს ყველაზე დიდ მტერთან, ბოკერია-საკაშვილის ბანდასთან იბრძვის.

გასაგებია შეკრების ფორმატი. ფორმატი, რომელიც არ ითვალისწინებდა ისეთ ხისტ პოლიტიკურ განცხადებებს, რაც პოლიტიკური პარტიის სტანდარტებით

არის განსაზღვრული და ფილარმონიაში მხოლოდ საზოგადოების პოლიტიკორექტული შეკრება ჩატარდა, მაგრამ ერთდროულად „მწვანდა და შამფურზე“ დარბაზი, იმან, რომ თავის სახელს არ ვარქმევთ არცერთ მოვლენას, დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

აი ეს შეკრებები კი აუცილებლად უნდა დავსვა – „პატრიოტთა ალიანსის“ რეზოლუციის პროექტისთვის კენჭისყრის წინ საზოგადოების მსგავსი აქტივობა რომ ყოფილიყო, დღეს გვექნებოდა თუ არა პარლამენტის დონეზე ნაციონალური მოძრაობის ზეობა შეფასებული ისე, როგორც ბოკერია-საკაშვილის რეჟიმი?

მსგავსი დონის შეკრება რომ ყოფილიყო თუნდაც „რუსთაველ-2“-ის ბილნი გადაცემების წინააღმდეგ (იმ ჯანსაღი, მაგრამ უნიათო შეკრების ნაცვლად, რაც რუსთაველის თეატრში გაიმართა და რასაც გვარამია-კვეციანი თავიანთ მდებრი „სტუმრებთან“ ერთად გავეშებით „ალადავებენ“), გვექნებოდა თუ არა შედეგით ჯანსაღი მედიაგარემო?

ვისგან ვიცავთ საქართველოს?

ვერ დავინახე დაცვა იმ ე.წ. პოლიტიკორექტულობისგან, რომელიც დღეს ჩვენი პირველი მტერია და რომელსაც შეიძლება, პარლამენტარი ხისტად ვერ დაუპირისპირდეს, მაგრამ საზოგადოებას აქვს უფლება, ღიად თქვას სათქმელი (არადა, ასეთი „გაპრავების“ დროს ისევ დეპუტატი ირმა ინაშვილი მახსენდება, რომელიც მარტო, მაგრამ წარმატებით იბრძვის).

სამაგიეროდ, ვნახე დაპირება – ხვალ, არა, ხვალ არა, ზეგ. პო, კონსულტაციებს გავივლით, ჩამოვყალიბდებით და მერე.

არ გამოვა ასე. არაფერი არ გამოვა და ეს ჩამოყალიბებელი ბრძოლის სტრატეგია (კორექტურა არ გეგონოთ. სწორედაც რომ „ჩამოყალიბებელი ბრძოლის სტრატეგია“) ვერანაირ პერსპექტივას გვაჩვენებს და საკმაოდ არაჯანსაღ ფიქრებს აჩენს. ფიქრებს, რასაც „რუსთაველ-2“ თავისუფლად ამბობს თავის ეთერში და რაც მოსახლეობის დიდი ნაწილზე, რომლებსაც ამ არხის მეტი საყურებელი, ფაქტობრივად, არ გააჩნია, ძალიან ცუდად მოქმედებს.


მე არ მწამს ისეთი რევოლუცია, რომლის სათავეშიც ქრისტე მოაბიჯებს – ამბობდა გრიგოლ რობაქიძე და აბსოლუტურად ვეთანხმები.

რევოლუცია კი უნდა მოხდეს. უნდა მოხდეს არა ვინაშინ მოსამართლეების ან კონკრეტული დეპუტატების წინააღმდეგ, არამედ იმ ნაციონალური ბანდის დასამხობად, რომლებიც დღესაც თავზე გვასხედან.

ასეთი შეკრებების კი არ მჯერა და ველოდები მას, ვინც ხმამაღლა იტყვის – თუ არ შემიძლია ეს უნიათობა შევაჩერო, მაშინ სათავეში ჩავუდგები! სათავეში ჩავუდგება და კონკრეტული პიროვნებების წინააღმდეგ საბრძოლველად კი არ წამიყვანს, არამედ სისტემას შეცვლის.

ველოდები!

გიგა ბაბრიძე



„გაიშვალა“ წინააღმდეგ „ამბოხებულს“ არაპირი დაუჯერებს!

ინტუიციით ვგრძნობდი, რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც მისვლა გადავწყვიტე, რადგან ჩემთვისაც ახლებელია ჭეშმარიტება: გაგონილს ყოველთვის ნანახი სჯობს!

ვნახე, მოვისმინე და მყარი აზრით ჩამომიყალიბდა. ეს იყო მორიგი შოუ, ოღონდ, ცუდად დადგმული – რეჟისორებიც და შემსრულებლებიც, რბილად რომ თქვათ, ძალიან მოიკოჭლებოდნენ.

არადა, ჩვენ იმდენი რამ გავიარეთ, ასეთ იაფფასიან ტრიუკებს უკვე „არავინ ჭამს“ – ყველაზე ზომიერებულიც კი...

საკმაოდ ბევრი დაინერა შაბათს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ „დაიცავი საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ შეკრებაზე. პოზიტიური შეფასებები თითქმის არ ყოფილა. თუმცა, მაინც ემოციები უფრო სჭარბობდა, ვიდრე საქმიანი (რაციონალური) დასკვნები.

შეიძლება, მკაფიოდ ითქვას: ეს „არ არის, რასაც ამდენი ხანი ველოდებით – არავითარი ახალი სახეები და ახალი სახელები, არანაირი სტრატეგია და ტაქტიკა, არანაირი იდეოლოგია...“

ხმის დაბობხება (დაყენება) და იმის ძახილი, რომ ორივე („ნაციონალები“ და „ოცნება“) უნდა წავიდეს, არსებითად არაფერს ნიშნავს – რომ უნდა წავიდნენ, ჩვენც ვიცით, მაგრამ იმის „რეცეპტი“ უნდა მოვაყოლოთ, როგორ უნდა გავუშვათ. მეორე და უმთავრესი, ვინ ჩანაცვლებს ერთი მთელისგან შემდგარ ორ ოდიოზურ ძალას, რომელიც ერთმანეთთან პინგ-პონგის თამაშით ისევ

თვალში ნაცარს გვყარის და არსადაც წასვლას არ აპირებს!

„დაიცავი საქართველო“ ნამდვილად არ იქნება ის ძალა, რომელიც მათ „გაშვებას“ შეძლებს და ახალ პოლიტიკურ რეალობას შექმნის ქვეყანაში.

ერთმა ენამოსწრებულმა „ინტრიგანმა“ იხუმრა კიდევ: „საქართველო, „დაიცავი საქართველოსგან“ უნდა დავიცვათ!“ არის ამ ხუმრობაში ჭეშმარიტების მარცვალაც. ასეთი ყალბი წარმონაქმნები ხშირად ცრუ ილუზიებში ამყოფებენ საზოგადოებას და ხელისუფლების საბეჭდო პოლიტიკური ძალის ფუნქციას ასრულებენ.

თუმცა, შაბათს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ უდიდეს შოუს ფონზე არა მგონია, „დაიცავი საქართველო“ ეს ფუნქცია შეასრულოს და „ქართულ ოცნებას“ მეხამრიდად მოევიწიოს!

დავით მალარაძე და ძალით „გამოჩევილ“, ხმაურითა და ყალბი შესტებით შემოსულ პოლიტიკოსებზე რომ არაფერი ვთქვათ, რა შუაშია „ახალ ძალასთან“ აინონა-დაინონას მოთამაშე პარლამენტარები? ვის დავაჯერებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი დღეს გახდა ცუდი და მათთვის მიუღებელი, თორემ, გუშინ და გუშინწინ, როცა ბევრი მათგანი წუმბიდან ამოიყვანა და „საბალახოდ“ გაუშვა, სწორუბოვარი პოლიტიკოსი და საქართველოს გადარჩენის მისიით გულანთებული პატრიოტი იყო?!

ვერ ერთი, ორჯერ ერთსა და იმავე წყალში არ შედიან, მეორეც, ვერავინ დამარწმუნებს, რომ ზვიად კვაჭანტირაძე, გედი ფოფხაძე, ლევან გოგიჩაიშვილი,

ვატო შაქარაშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წავლენ და მის „პოლიტიკურ კუბოზე“ ბოლო ლურსმანს დააჭედებენ!

სასწაული რომ მოხდეს და გულწრფელად რომ მოინდომონ, „მამის“ წინააღმდეგ „ამბოხებულებს“ ვინ უნდა დაუჯეროს?!

რბილად (კორექტულად) თუ ვიტყვი, დარბაზში ყოფნისას ისეთი შთაბეჭდილება შეემქმნა, რომ კომპარტიის თავყრილობაზე ვიჯექი და ყველაფერი ისეთი სცენარით მიდიოდა, რა სცენარიც წინასწარ დაიგეგმა: ზოგადი ფრაზები, მრავალგზის გადაღებული თემა – უფადო მოსამართლეებზე ჩაიციკლა (თითქოს უფრო დიდი პრობლემები არ იყოს ქვეყანაში), ყალბი ინტონაციები, ნახევრად ნათქვამი სიმართლე (როცა მმართველ პარტიაზე საუბრობ მის ნამდვილ შემოქმედს ცივ ნიავს არ აკარებ)...

პუბლიცისტ დავით მხეიძის გამოსვლამ (მანაც იძალადა, რომ გამოსულიყო) თითქოსდა დისონანსი შეიტანა დარბაზში და ხალხიც მსურვალე აპლოდისმენტების ხასიათზე დააყენა, მაგრამ, არც მისგან წამოსულა კონკრეტული გზავნილები – კონკრეტულად არ უთქვამს, თუ რატომ იყო იმდღევანდელი შეკრება ცუდად დადგმული შოუ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ე.წ. „მესამე ძალასთან“.

შთაბეჭდილება დამრჩა: ვიდაცას სურს, „ქართული ოცნების“ სატელიტად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მათთვის არსებობს ზღვარი, რომლის გადალახვას არ ან ვერ ახერხებენ – თავიდანვე ყალბი სატელიტები კი უცვებ იზიფრებიან!

შეკრებამ თვალნათლივ აჩვენა, რომ დავით მალარაძე ვერ იქნება ლიდერი – მას ამისთვის არც სათანადო ქარიზმა აქვს და არც პოლიტიკური წარსული უწყობს ხელს! სცენაზეც ცოტა დაბნეული და ბოლომდე ჩამოყალიბებული ჩანდა.

სხვათა შორის, სცენაზე გადმოღვრილმა მონოტონურმა სიომ მიბიძმა, ავსუღიყავი და საკუთარი პოზიცია დაემეფიქსირებინა არსებული რეალობის, კონკრეტულად „დაიცავი საქართველოს“ იმდღევანდელი თავყრილობის მიმართ, მაგრამ ორგანიზატორის მხრიდან ამისთვის მზაობა ვერ ვიგრძენი – ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, სცენარიდან არ გადასულიყვნენ და რაც შეიძლება ჩქარ ტემპში დაემთავრებინათ თავიანთი თავყრილობა.

ზაურ ნაჭყვიანი.



P. S. „დაიცავი საქართველოს“ ორგანიზებით ჩატარებულმა უდიდესი თავყრილობამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ „ახალი ძალის“ წინა თავისუფალია და მალარაძისნაირი ლიდერები მას ვერ დაიკავებენ. „ახალი ძალა“ ახალ სტრატეგიას და ტაქტიკას, არსებულისგან განსხვავებულ იდეოლოგიას გულისხმობს. ვნახოთ, ხელი ჯერ კიდევ არ ჩამოქნევიან. ჩვენ ნამდვილი ახალი ძალა გვჭირდება!!!

ზ. 6


საძარბაველო მცენიერებათა ეროვნული აკადემიის ახლად არჩეულ წევრთა შორის უმეტესობა მცენიერების იმ მნიშვნელოვანი სფეროთა წარმომადგენლები ბრძანდებიან, რომელთა წიაღიდან ტრადიციულად ხდება აკადემიის შექმნა. ამდენად, წარჩინებულ მცენიერთა ამ ნუსხაში მანქანათმშენებლობის სპეციალისტის, სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორის, მცენიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის **თამაზ ნატრიაშვილის სახელის გამოჩენა, მცენიერებათა აკადემიის მხრიდან ამ დარგის მიმართ აქცენტირებულად ყურადღების გამოსატანის ნიშნად შეიძლება აღვიქვათ.**

ყოველივე ამას ხაზს იმითომ ვუსვამთ, პატივცემულ მკითხველო, რომ წერილების ის ციკლი, რომლის ფარგლებში წინამდებარე მასალა მომზადდა, საქართველოს მცენიერებათა ეროვნული აკადემიის ახალ წევრთა სამეცნიერო პორტრეტების ერთგვარი წარმოჩენაა, თუმცა საუბრისას ბატონმა თამაზ ნატრიამ შეიძლება არაერთხელ ხაზგასმით გვითხრა, რომ სურვილი აქვს უფრო მეტი დარგის ავ-კარგზე ვილაპარაკოთ და არა მის პიროვნებაზე, რასაც ყოველ მიზეზგარეშე შევასრულებთ და საუბარს სამაშალო მანქანათმშენებლობის დღევანდელ დღესა და მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მიღწევებსა და პრობლემებზე დავინყებთ, თუმცა მისი თავკაცის შესახებაც აუცილებლად მოგახსენებთ.

მცოდნეობა, მანქანათა დინამიკა, მოხილული მანქანები, თბოენერგეტიკული დანადგარები. შესაბამისად ინსტიტუტში მოქმედებს სხვადასხვა დანიშნულების ლაბორატორიები.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ინსტიტუტში შესრულდა 13 სამეცნიერო პროექტი, გამოქვეყნდა სამი მონოგრაფია, 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, ნორვეგიაში, გერმანიაში, უკრაინაში, პოლონეთში, რუსეთსა და ბელარუსში. ინსტიტუტის თანამონაწილეობით თბილისში ორგანიზებული იყო საერთაშორისო

უნდა ითქვას, რომ მანქანათმშენებლობა, რომლის თეორიულ საფუძველს მანქანათა მექანიკა წარმოადგენს, მსოფლიო მრეწველობის მთავარი დარგია, რომელზეც დედამიწაზე წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მესამედზე მეტი მოდის, ამასთან, პირველ ადგილზეა სამუშაო ადგილების ოდენობით. მეტიც: არსებობს მოსაზრება, რომ ქვეყნის განვითარების შესახებ მსჯელობა შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამდენადაა მასში განვითარებული მანქანათმშენებლობა და რა წილი აქვს მის პროდუქციას ქვეყნის საექსპორტო პოტენციალში (განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 40-დან 60 პროცენტის ფარგლებშია მოქცეული). მე-20 საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოში მანქანათმშენებლობის პროდუქციის წილი მრეწველობის საერთო მოცულობის 13-14 პროცენტს შეადგენდა, რაც პატარა ქვეყნისთვის საკმაოდ კარგი მაჩვენებელი იყო. საქართველოში ინარმოებოდა თითქმის ყველა სახეობის სატრანსპორტო საშუალება: მაგისტრალური ელმავლები, სატვირთო ავტომანქანები, ტრაქტორები, კატარღები, თვითმფრინავები, აგრეთვე ისეთებიც კი, როგორცაა ბაგირგზები და ვებროტრანსპორტიორები.



თამაზ ნატრიაშვილი, მცენიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ რაფიელ დვალის მანქანათმშენებლობის სპეციალისტი.

ქვეყანაში მანქანათმშენებლობის დარგის განვითარება დიდად განპირობებული იყო ქართველ მექანიკოსთა მაღალი დონით, რომელთა ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ კონსტანტინე ამირეჯიბი, აკადემიკოსები რაფიელ დვალი, ვახტანგ მახალაძე, დავით თავხელიძე, თეიმურაზ ლოლაძე, მიხეილ ხვიციანი, რობერტ ადამია და სხვები, - ამბობს ბატონი თამაზი.

მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი, ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელსაც წლეულს დაარსებიდან 60 წელი უსრულდება. ინსტიტუტში დიდი წარმატებები იყო მიღწეული მსოფლიო მასშტაბითაც კი. მაგალითად, პირველად ჩვენს ინსტიტუტში შეიქმნა მაბიჯა მანქანა, ტრაქტორის ავტომატურად მართვის სისტემა და სხვ.

მოგახსენებთ, 1990-იანი წლები როგორც ერთიანად ქვეყნისთვის, ისე ინსტიტუტისთვისაც სიძნელეებით იყო აღსავსე, მაგრამ არაერთი განსაცდელის მიუხედავად - სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფების მრავალი შემოტევის, ლტოლვილთა შემოჭრისა და ა.შ. - ჩვენ შევძელით არა მარტო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, არამედ მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-საინჟინრო

კადრების დიდი ნაწილის შენარჩუნებას.

ამდენად, ყველა განვლილი თუ ამჟამინდელი სიძნელის მიუხედავად, ინსტიტუტის კოლექტივი კვლავაც განაგრძობს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას. მის ისტორიაში ბოლოდროინდელი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო თავდაცვის სამინისტროს, კერძოდ, **სსსტ „დეტას“** დაქვემდებარებაში გადაყვანა, რის შედეგად გარკვეულწილად გაიზარდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, და, რაც მთავარია, ამაღლდა მუშაობის მოტივაცია: ყველანი ქვეყნისთვის საჭირო საქმეს ვაკეთებთ, რაც მის თავდაცვისუნარიანობას ემსახურება.

აქ ერთი გარემოება გასათვალისწინებელია: სამუშაოთა ნაწილი გასაგები მიზეზით გასაიდუმლოებულია, ამდენად, პროექტების დიდი ნაწილი, არ ხმაურდება, ჩვენი მეცნიერული შედეგების შემფასებელი და საექსპერტო დასკვნების გამოშვანი საქართველოს მცენიერებათა ეროვნული აკადემიაა და, აღსანიშნავია, რომ წლებია, ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობა მხოლოდ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. ჩემი აზრით, ეს გარემოებაც გახლავთ იმის ერთ-ერთი საფუძველი, რომ ცოტა ხნის წინათ თქვენი მონა-მორჩილი აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. **ეს არა მხოლოდ პირადად ჩემი, არამედ მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მთელი კოლექტივის დამსახურებაა და ეს არაა ლიტონი სიტყვები: მანქანათმშენებლობა ისეთი სფეროა, სადაც ძლიერია კოლექტივის თანადგომის გარეშე რაიმე მნიშვნელოვანის მიღწევა თითქმის შეუძლებელია.**

ახლა კი დარგის ერთ ძალიან დიდ გასაჭირს მივადექით, რომელსაც

აკადემიკოსი თამაზ ნატრიაშვილი: ჩვენი მთავარი პრობლემა კვალიფიციური კადრების დეფიციტია!

საც შესაბამისი პროფილისა და კვალიფიციაციის სპეციალისტების მწვავე დეფიციტი ჰქვია. არადა, თავის დროზე ასეთი სპეციალისტები მრავლად გვყავდა, რადგან მანქანათმშენებლობის დიდებული სამაშალო სკოლა გვქონდა, რომლის კორიფები ზემოთ ვახსენე. სამწუხაროა, რომ დღეისთვის დიდი პრობლემაა ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტების კვლევით ინსტიტუტებში მოზიდვა. ამ მეტად არასახარბიელო ფონზე, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის კოლექტივისთვის უაღრესად სასიხარულო იყო, რომ პირველად მეოთხედ საუკუნის შემდეგ საქართველოში სრულფასოვანი მობილური მექანიკის - საბრძოლო მანქანა „დიდგორი“ აიგო, რომლის შექმნაში ჩვენმა სპეციალისტებმა თავისი წვლილი შეიტანეს. ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ „დიდგორიც“ და მის საფუძველზე დამუშავებული ჯავშნიანი სამედიცინო დახმარების მანქანა ახლო აღმოსავლეთში დიდი მონონებით სარგებლობს.


სო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია. ინსტიტუტის პატრონაჟით გამოდის საქართველოში ერთადერთი ინგლისურენოვანი სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „Problems of Mechanics“.



ახლა კი მინდა, აკადემიკოს თამაზ ნატრიაშვილის სურვილისამებრ, სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის შესახებ ცოტაოდენი სტატისტიკური ინფორმაცია მოგანოვდეთ: საშტატო განრიგით ინსტიტუტში 58 თანამშრომელია, რომელთა შორის 31 მეცნიერებათა დოქტორია(!), 20 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მხოლოდ 7 დამხმარე პერსონალი. ინსტიტუტის მოღვაწეობის პრიორიტეტებია: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება; განათლება, მეცნიერება, პროფესიული მომზადება; სოფლის მეურნეობა.

სამუშაოთა პროფილეზია: მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის მთელი კოლექტივის დამსახურებაა და ეს არაა ლიტონი სიტყვები: მანქანათმშენებლობა ისეთი სფეროა, სადაც ძლიერია კოლექტივის თანადგომის გარეშე რაიმე მნიშვნელოვანის მიღწევა თითქმის შეუძლებელია.

მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორთან ზოგადად დარგის ახლანდელ მდგომარეობასა და ორგანიზაციის მოღვაწეობის ერთგვარი მიმოხილვის შემდეგ, აკადემიკოსმა თამაზ ნატრიაშვილმა, რამდენიმე წამყვან სპეციალისტთან ერთად, ინსტიტუტის ლაბორატორიებში შექმნილი ზოგიერთი მექანიკის მუშაობის ამსახველი ვიდეორგოლი მაჩვენა, რომელიც შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია უნარშეზღუდულ პირთა ეტლის კიბეებზე ასაყვანი მოწყობილობა, ორიგინალური კონსტრუქციის მაღალი გამავლობის მობილური პლატფორმა, მცირეგაბარიტული და მცირეწონიანი ტვირთების საზიდო მინი-სკუტერი, მოძრავ პლატფორმაზე დამონტაჟებული ხელოვნური ხელი, გამანადგველი რობოტი, რომელიც აფეთქების პროვოცირებას წყლის ჭავლით ახდენს, თბოცაიზოლა-



ნიერო ხელმძღვანელი, ხოლო 2006 წლიდან არის პრიორიტეტული პროგრამის „ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება მანქანათმშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებებში“ კოორდინატორი.

ალსანი შნავია პროფესორი თამაზ ნატრიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მხარდაჭერის წერილები, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვეციანიძის სა-

ციო მასალები, მათი დასამზადებელი მანქანები და სხვა.

ახლა კი ნება მიბოძეთ, თავად აკადემიკოს თამაზ ნატრიაშვილის შესახებ მოგახსენოთ. 1967 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მაიაკოვსკში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. 1972 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ინჟინერ-მექანიკოსმა განაწილებით მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში, სადაც წარმატებით განვლო შრომითი გზის ყველა თანამდებობრივი საფეხური – ტექნიკოსიდან ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე.

1983 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო, ხოლო შემდეგ – სადოქტორო დისერტაციები. სხვადასხვა დროს სტაჟირება გაიარა უნგრეთში, საფრანგეთსა და ისრაელში. სამეცნიერო მუშაობასთან ერთად წლების განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას – იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორია. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 10 დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატისა და აკადემიური დოქტორის ხარისხის მისაპოვებლად.

აკადემიკოსი თამაზ ნატრიაშვილი 160-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, 2 დამამარე სახელმძღვანელოს, 11 გამოგონებისა და პატენტის, ასევე 4 მონოგრაფიის ავტორია, რომელსაც მოღვაწეობის ბოლო ხუთი წლის მანძილზე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე 50-ზე მეტი მოსწენება აქვს გაკეთებული მანქანათმშენებლობის აქტუალურ საკითხებზე. იგი სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ღონიძირების პროგრამული კომიტეტის მუდმივი წევრია, ასევე შედის სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნიკური ფურნალების რედაქციების შემადგენლობაში.

ვიდრე სწავლულის სამეცნიერო მოღვაწეობის კოლეგების მიერ შეფასების შესახებ მოგახსენებდეთ, აუცილებლად მინდა, აღვნიშნო აკადემიკოს თამაზ ნატრიაშვილის ბიოგრაფიის უაღრესად მრავალმხრივი ფაქტი: 1992-1993 წლებში მექანიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი, რომელშიც ისიც შედიოდა, მოხალისედ წავიდა აფხაზეთში, სადაც ომში დაზიანებულ ჯავშნიან ტექნიკას რთულ პირობებში არემონტებდა და აღადგენდა.

რაც შეეხება აკადემიკოს თამაზ ნატრიაშვილის სამეცნიერო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ისინი საავტორიტეტო შიგანის ძრავების კვლევა და მანქანებში მიმდინარე დინამიკური პროცესების შესწავლას ეხება, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სავტომობილო სტანდარტების ქართული ვარიანტების შექმნას. ის იყო მრავალი სახელმწიფო და საგრანტო პროექტის სამეც-


ხელზე გამოგზავნილი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის (ИМАШ РАН) დირექტორი, აკადემიკოსი რ. განიევი აღნიშნავს, რომ „თ. ნატრიაშვილის ძირითად სამეცნიერო მიღწევათა უბრალოდ ჩამოთვლა შეუძლებლად მიგვაჩნია, ამიტომ მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ფუნდამენტურ შედეგებს, რომლებმაც მას მაღალი ავტორიტეტი შესძინა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შორის: სამანქანო სისტემებში დინამიკური დატვირთვის მინიმიზაციის საინჟინრო მეთოდები (აკადემიკოსი რ. ადამიასთან ერთობლივად); ბუნებრივ აირზე კონვერტირებული ძრავების კვების ორიგინალური სისტემების დამუშავება და სხვ. ამ შესანიშნავმა შედეგებმა არა მარტო გაამდიდრა საინჟინრო მეცნიერებები, არამედ მათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვთ“.

უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ა. ნ. პოდგორნის სახელობის მანქანათმშენებლობის პრობლემების ინსტიტუტის მიერ გამოგზავნილ მხარდაჭერ გამოხმაურებაში კი, რომელსაც ინსტიტუტის დირექტორი, მანქანათმშენებლობის ცნობილი სპეციალისტი, აკადემიკოსი იური მაცევიტი აწერს ხელს, ნათქვამია: „პროფესორმა თ. ნატრიაშვილმა დიდი დრო დაუთმო შიგანის ძრავების ეფექტიანი მუშაობის პრობლემების გადაწყვეტას. მან ყოველმხრივ შეისწავლა შიგანის ძრავაში მიმდინარე თერმოდინამიკური და გაზოდი-დინამიკური პროცესები... პროფესორ თ. ნატრიაშვილის მიერ ჩატარებულმა გამოთვლით-თეორიულმა ციკლმა და რიგმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ, შიგანის ძრავას გაანგარიშების მათემატიკური მოდელის სრულყოფის, თეორიულ კვლევათა სიზუსტისა და სანდოობის ხარისხის გაზრდის შესაძლებლობა შექმნა“.

ასეთი გამოხმაურება, სადაც პროფესორ თამაზ ნატრიაშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ძალიან მაღალი შეფასებებია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მრავლად არის, თუმცა ამჯერა მხოლოდ ზემოთ მოყვანილით შემოვიფარგლებით.

ბაზაში „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივის სახელით გულითადად ვულოცავთ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად არჩევას და შიგანის ძრავების კვლევაში მისი წარმატებით მოღვაწეობას, ისე პირად ცხოვრებაში.

ოთარ ტურაბალიძე



© უნ რას იტყვი, აკითხველუ?!

რატომ არ უშვებს სანდრა რულოვსი ზუგდიდს?

ის კითხვა ბევრ ზუგდიდელს უჩნდება. მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებსაც. გავრცელებული ვერსიით, სანდრა რულოვსის წარდგენა ზუგდიდის მერობის შუალედურ არჩევნებში დიდად არ გახარებითა ზუგდიდელ „ნაციონალებს“, რადგან მათი სურვილი იყო ზუგდიდის მერობისთვის ზუგდიდელს ებრძოლა და არა უცხო ტომის აგენტს. მათ ასეთი რამდენიმე კანდიდატურა ჰყავდათ: წარმოშობით ზუგდიდელი ნიკა მელია, ყოფილი ვიცე-გუბერნატორი ალექსანდრე ახვლედიანი, ყოფილი გამგებელი ალექსანდრე ქობალია, ყოფილი საკრებულოს თავჯდომარე ლევან კონჯარია, რომლებმაც სანდრაზე გაცინებით უკეთესად იციან ზუგდიდელთა განწყობა და ზუგდიდის ინფრასტრუქტურა.

ზუგდიდი და ზუგდიდელები არასოდეს არ და ვერ ჰგუობდნენ უცხოელს, ამიტომ არ ახსოვს ისტორიას, ზუგდიდის თავკაცი და პირველი პირი არაზუგდიდელი ყოფილიყო. რატომ ჰგონიათ „ნაციონალური მოძრაობის“ მანქურთებს, რომ ქალბატონი სანდრა უფრო ღირსეული კანდიდატია, ვიდრე ჩამოთვლილი პიროვნებები ან მათზე უფრო მეტ ხმას მიიღებს და უკეთესად განავითარებს ზუგდიდს!..

საკითხავია, სახალხო მეურნეობის რომელი დარგი იცის ქალბატონმა სანდრამ? პირველად საარჩევნო ბატალიებში რულოვსმა მონაწილეობა 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო, როგორც ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა და „ქართულმა ოცნებამ“ რის ვაი-ვაგლახით შეძლო მისი დამარცხება. ამით გათამამებული სანდრა ახლა ზუგდიდის მერობისთვის იბრძვის. მას მრავალი მხარდამჭერი ჰყავს, განსაკუთრებით ეტრფიან სოფლებში.

რაც ძალიან გასაკვირია, ძნელი ახსახსელია, თუ რატომ უნდა მისცენ სმა ზუგდიდელებმა ვიღაც პოლანდიელ გადამთიელს და არა მათ თანამემამულეს, ზუგდიდში დაბადებულ და გაზრდილ პიროვნებას, წესიერებითა და ღირსებით გამორჩეული ოჯახის შვილს გეგა შენგელიას.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სანდრა რულოვსის მთავარი მესიჯი ამომრჩევლებისადმი იყო იაფფასიანი „მა თქვან ნოსა ვორექ“ (მე თქვენი რძალი ვარ), ალბათ, გიული ალასანიას მეგრელობა ჰქონდა მხედველობაში.

სად რძალი და სად კიდევ ნაღდი შვილი?!

ზვიად გამსახურდიას თაყვანისმცემელთა ქალაქში, სადაც 1993 წლის ოქტომბერში პირველი პრეზიდენტის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, არანაირი საკომუნიკაციო საშუალებების არქო-

ნის პირობებში, ნახევარ საათში 100000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა ცენტრალურ მოედანზე, წარმოუდგენელია, როგორ გახდა ზვიად გამსახურდიას შემგინებელმა და შეურაცხყოფელმა სააკაშვილის ცოლმა ზუგდიდელთა წინამძღოლობა?

ზუგდიდის გარდა კიდევ რამდენიმე მუნიციპალიტეტში ტარდება მერების შუალედური არჩევნები, მაგრამ რატომაც „ნაცებს“ ჰგონიათ, რომ მათი გამარჯვება ზუგდიდიდან დაიწყება!

სამეგრელოს, კოლხეთის გულიდან სურთ არიონ სრულიად საქართველო, ამიტომაც ზუგდიდი ისევე გახდა „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ბრძოლის ეპიცენტრი.

ამ ორ ძალას შორის პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი დაპირისპირებები უკვე დაიწყო. მოსალოდნელია ვითარე-



ბის კიდევ უფრო გაართულება და გამძაფრება. „ნაცების“ თითქმის ყველა ლიდერი და აქტივისტი უკვე ზუგდიდაშია. მათ რამდენიმე თვით ადრე ჰქონდათ ზუგდიდის სასტუმროებში ნომრები დაჯავშნილი. ამიტომაც „ქართული ოცნებას“ დიდი ძალისხმევა დასჭირდება სასურველი შედეგის მისაღწევად.

ერთ უცნაურ ფაქტს უნდა მიექცეს ყურადღება. „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბები, სადაც ყოველდღიურად უამრავი ადამიანი იყრის თავს, ისე გვერდი-გვერდ, ისე ახლოს არიან განთავსებული, ძალიან ძნელი გასარჩევია, ვინ რომელი ძალის მომხრეა. არადა, ზუგდიდი არც თუ ისე პატარა ქალაქია, რომ ძნელი ყოფილიყო, ეს ორი დაპირისპირებული ძალა ერთმანეთის მოშორებით განთავსებულიყო და პროვოკაციებიც აგვეცილებინა თავიდან.

მინდა, შევასწავლო ზუგდიდელებს და აქ მცხოვრებ დევნილებს, რომ გვერდზე გადადონ პარტიული სიმპათიები, კარგად დაფიქრდნენ, განსაჯონ და გააკეთონ სწორი არჩევანი, რადგან აქ არის დაპირისპირება „ქართული ოცნებასა“ და „ნაციონალური მოძრაობას“, ან ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის, არამედ საკითხი დგას ასე: ვინ იქნება ზუგდიდელთა წინამძღოლი – ჰემბარიტი ქართველი თუ ტერნებენელი პოლანდიელი...
ლადო ძირია, 8ზუგდიდი

„მისი უდიდებულესობა“ ტაქსის მძღოლების მასშტაბური აქცია 18 აპრილს გაიმართება!

ტაქსის მძღოლების მასშტაბური აქცია 18 აპრილს დაიგეგმა, მათი პროტესტი გრძელდება. ტაქსისტების მოთხოვნა უცვლელია, ორი წლით გადაიდოს ის რეგულაციები, რომელიც ტაქსის თეთრ ფერში გადაღებას გულისხმობს.

აქციის მონაწილეები რეგიონში დასაქმებულ ტაქსის მძღოლებს მიმართავენ და მოუწოდებენ, თბილისში 18 აპრილს დაგეგმილ აქციას შეუერთდნენ.

„თუ თბილისში გაუვიდათ ეს მავნე რეგულაციები, შემდგომ რეგიონებში გაავრცელებენ ამ ყოველივეს, რაც გამოიწვევს ათიათასობით ჩვენი მოქალაქის უმუშევრად დატოვებას, უსახსროდ, უფულოდ, უსასოოდ და ესენი იქნებიან განწირულები. ამიტომ, მოთხოვნა არის სრულიად სამართლიანი, გადაიდოს ყოველგვარი რეგულაცია ტაქსებზე და სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული ეს მოთხოვნები, მანამდე გაგრძელდება მჯდომარე პერმანენტული აქციები. ჩვენ ვინცებით საინფორმაციო შეხვედრებს მთელი თბილისის მასშტაბით და დარწმუნებული ვარ, ათიათასობით ადამიანი შემოუერთდება ამ კანონიერ მოთხოვნებს,“ – განაცხადა „ლეიბორისტული პარტიის“ წევრმა გიორგი გუგავამ.



ნატო და საქართველო: ალიანსში განვითარების საპარტნიორო შედეგები

აზერბაიჯანული გამოცემის „HOBEO BPERIA“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში საუბარია საქართველოს ნატოში განვითარების პარტნიორობის საპარტნიორო შედეგებზე.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრისი“ ბიზნეს-სექტორში სტატიის ქართულ ენაზე თარგმანს მძიმე პერიოდში შეამოკლავს.

საქართველოში სამხედრო სწავლება „NATO-Georgia Exercise-2019“ გაიმართა, რომელსაც ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა:

პირველი – შემოწმება, თუ რამდენად უზრუნველყოფს საქართველოს არმია ნატოს სამხედრო ძალებს და მეორე – საქართველო-

სადმი მხარდაჭერის დემონსტრირება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ. წვრთნებს ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგიც დაესწრო, რომელმაც თბილისში ვიზიტის დროს ქვეყნის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას განაცხადა, საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. ამასთან, იენს სტოლტენბერგს არ დაუზუსტებია, განვითარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთად მოხდება თუ ამ რეგიონების გარეშე, რომლებსაც თბილისი რუსეთის მიერ ოკუპირებულია მიიჩნევს.

საქართველოს ნატოში განვითარების გზაზე პრობლემები აქვს: ცნობილია, რომ ალიანსში მხოლოდ ისეთ სახელმწიფოს იღებენ, რომლებსაც, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, ტერიტორიული

მოტიანობისა და საზღვრების საკითხიც მოგვარებული აქვთ, თბილისს კი ყველაზე მეტად თავისი ტერიტორიების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაკონტროლების პრობლემა ანუხებს. ალბათ, შესაძლოა, ამიტომაც თქვა ერთხელ იენს სტოლტენბერგმა – იქნებ მოვიდა ალიანსის წესდების „მოდერნიზების“ დრო. მიზეზი გასაგებია – თუ საქართველოს მიიღებენ, მაშინ ქვეყანა კანონიერ საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული.

რით იმუშავებს საქართველოს ნატოში განვითარება რუსეთში? მოსკოვისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან კავკასიაში – შავი ზღვის რეგიონში განვითარება რუსეთის კიდევ ერთი სამხედრო მონინალმდგე (ნატოს წევრების – თურქეთ-ბულგარეთ-რუმინეთის გარდა) და ამ მონინალმდგე რუსეთთან სახმელეთო საზღვარი ექნება. სამხრეთკავკასიურ ქვეყანაში განვითარება აშშ-ის სამხედრო ბაზები (გარკვეული სტრუქტურები უკვე შექმნილია). ამერიკელი ინსტრუქტორები უკვე 20 წელია, ქართულ არმიას წვრთნიან, ქართველი ოფიცრები ოკენისიქით დადიან სასწავლო ცენტრებში. საქართველო იარაღს ნატოს წევრებისგან ყიდულობს.

ამერიკელებმა საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის – აეროდრომებისა და ნავსადგურების ინვენტარიზაცია ჩაატარეს. აშშ-ის არმიის ინ-

ჟინერთა კორპუსმა კი ბიზნეს-გეგმა შეადგინა: საქართველოში სამხედრო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და აშშ-ის ინტერესების შესაბამისად, ახალი ობიექტების მშენებლობისათვის კერძო კომპანიები უნდა მიიხილონ. ბიზნეს-გეგმაში აღნიშნულია, რომ საქართველო ადმინისტრაციული შენობების, სანვრთნელი ცენტრების, თვითმფრინავების ანგრების, სახანძრო სადგურების, სასადილოების და ლაბორატორიების მშენებლობა. ამერიკელებს ლამის კლებებიც არ დაეინყებიათ. არაა გამორიცხული, რომ ნატოს დახმარებით და აშშ-ის პატრონაჟით მოძლიერებულმა თბილისმა ძალის გამოყენებით გადაწყვიტოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება.

რა თქმა უნდა, რუსეთს არ სძინავს. ასეთ სავარაუდო სიუჟეტებს მოსკოვიც კარგად აცნობიერებს. ამიტომაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის გენშტაბმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზები განალაგა და თუ საქართველო ნატოში, ვთქვათ და მართლაც გაწევრდება, მაშინ რუსეთის ფედერაცია ორივე რესპუბლიკას კარს გაუღებს, თანაც ყველაფერი საერთაშორისო ნორმების დაცვით გაკეთდება.

„HOBEO BPERIA“
აზერბაიჯანი

გერ ეკონომიკა, მერე პოლიტიკა

მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო და უფრო ნაკლებპროგნოზირებადი ხდება, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინებით, სხვა ფაქტორებთან ერთად. დასავლეთსა და რუსეთს შორის გამძაფრებული დაპირისპირება, ისევე, როგორც გაურკვეველი ვითარება აშშ-სა და ჩინეთს შორის წარმოებულ „საშხარო ომში“, ოპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად იძლევა. ბიზნესიც არ გრძნობს თავს ისე დაჯერებულად, როგორც უწინ. საინვესტიციო რისკები მსოფლიო რუკის დიდ ნაწილზე იზრდება.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, არსებობს ადგილები, რომლებიც იზიდავენ საერთაშორისო კომპანიებს ინვესტიციების განსახორციელებლად. ბოლო დროს სულ უფრო მეტი უცხოელი ბიზნესმენი ამგობინებს, რომ ფული ყაზახეთში „ამუშაონ“. ჩვენ შევეცადეთ, გარკვეულიყოფით, რაში მდგომარეობს ამ შუაზიური სახელმწიფოს მიმზიდველობა და ეკონომიკის რომელი სექტორებია ამ მხრივ ყველაზე მომგებიანი.

გერ კიდევ 2011 წელს კომპანიამ „ერნსტ ენდ იანგ“ ჩაატარა ყაზახეთის საინვესტიციო მიმზიდველობის კვლევა და ამასთან დაკავშირებით გამოჰქოთხა ყაზახეთში ფაქტობრივად და პოტენციურად მომუშავე 200-ზე მეტი ინვესტორი მსოფლიოს 20 სხვადასხვა ქვეყნიდან. უკვე მაშინ რესპონდენტთა 32%-მა ყაზახეთი დაასახელა დსთ-ის სამ ყველაზე უფრო მიმზიდველ ქვეყანას შორის. დაახლოებით ამდენივე მონაწილის მიერ გამოითქვა აზრი, რომ ყაზახეთი თავის საინვესტიციო მიმზიდველობას კიდევ უფრო გააუმჯობესებდა.

ბევრი ექსპერტი ამტკიცებს, რომ წლების შემდეგ, ყაზახეთის საინვესტიციო კლიმატი კიდევ უფრო საგრძობლად გაუმჯობესდება. 2018 წელს „საინვესტიციო მიმზიდველობის“ კრიტერიუმის მიხედვით, ყაზახეთმა Doing Business-ის რეიტინგში 190 ქვეყანას შორის 36-ე ადგილი დაიკავა. ამაზე მიუთითებენ ციფრები: მარტო 2018 წლის პირველი პერიოდის მაჩვენებლებით, ქვეყანაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 12 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა.

ცოტა ხნის წინაა, ყაზახეთში ფუნქციონირებდა დაინყო საერთაშორისო საფინანსო ცენტრმა „ასტანა“. ამის შესახებ ჩვენ ადრე ვიუწყებოდით, სსც იქცა ძირითად საფინანსო პლატფორმად, ინვესტიციების მოზიდვისა და დაცვის მიზით. ისლამური საფინანსო დაწესებულებების საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის ორგანიზაციის (AAOIFI) პროფესიონალური განვითარების ხელმძღვანელისა და ეთიკის კოდექსის მთავარი მკვლევარის ფარჰან ნურის აზრით, რამდენიმე წელიწადში სწორედ ეს საფინანსო ცენტრი შეასრულებს რეგიონში განმსაზღვრელ როლს.

სსც-ის საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრის არბიტრთა ჯგუფის წევრი, ინგლისისა და უელსის უფროსი სასამართლოთა ადვოკატი, ისლამური ფინანსების სსც-სთან პრესბულის საკონსულტაციო საბჭოს წევრი შეის ბილალ ხანი აღნიშნავს ყაზახეთში ასეთი ცენტრის შექმნის დროულობას. საქმე ისაა, რომ ყაზახეთი ამჟამად იმყოფება ენერგეტიკაზე დამოკიდებულების მდგომარეობიდან გამოსვლის პროცესში და დივერსიფიკაციისკენ ისწრაფის.

ექსპერტის აზრით, საფინანსო მომსახურებები, როგორც ჩანს, ყველაზე მოქნილი სექტორია, რომელსაც

სტაბილური ყაზახეთი კიდევ უფრო მეტად იზიდავს უსხოელ ინვესტორებს



შეიძლება, რომ ყურადღება მიექცეს. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და ბევრი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი ორგანიზაციები IPO-ს საშუალებით ყიდულობენ ისეთი ყაზახური გიგანტი კომპანიების აქტივებს, როგორებიცაა „სამრუჯ ყაზინა“, „ყაზმუნაიგაზი“ და „ყაზატელეკომი“.

გარდა ამისა, ყაზახეთში ინვესტიციების ერთ-ერთი მსხვილი სექტორი სოფლის მეურნეობაა: მეცხოველეობა, მეცენარეობა და მარცვლეულის წარმოება.

ამასთან, ყაზახეთში არსებობს ინვესტირების კიდევ სხვა არაერთი სექტორი და საამისო შესაძლებლობები: ტექნოლოგიები, საფინანსო ტექნოლოგიები, მიკროდაფინანსება, მცირე ბიზნესი – მიიჩნევენ ინგლისისა და უელსის უფროსი სასამართლოების ადვოკატი შეის ბილალ ხანი. სიტყვამ მოიტანა და, მცირე ბიზნესსაც შევეხოთ. ყაზახეთში დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა სწავლულებსა და მათ იდეებს, ამიტომ სტარტაპებში ინვესტიციების ჩადება თანხების დაბანდების ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია. ეს მით უფრო, როცა ასეთი პროექტების შემუშავების სფეროები სრულიად განსხვავებულია: ეკოლოგია, ენერგეტიკა, სოციალური საკითხების მოგვარება, ფინანსები, ინტერნეტი, მობილური დამატებები და ა. შ.

თუმცა ყაზახეთში ინვესტირების ძირითად სექტორად მაინც ნედლეულის სფერო რჩება. ქვეყანა, რომელიც ბუნებრივი რესურსებით ასე მდიდარია, შეუძლებელია, არ წარმოადგენდეს იმ სახელმწიფო-

ების ინტერესის ობიექტს, რომლებიც ნედლეულის დეფიციტს განიცდიან. მაგალითად, ყურნალ Forbes Kazakhstan-ის მონაცემებით, გაიზარდა საერთაშორისო ინვესტორების ინტერესი ურანის წარმოების მიმართ, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი „ყაზატომრენვის“ IPO-მ შეიტანა. ეს იმიტომ, რომ ურანი, რომელიც ბირთვულ რეაქტორებში ელექტრობის წარმოებისათვის გამოიყენება, 2018 წლის ერთ-ერთი საუკეთესო საწვლელეულო საქონლად დასახელდა.

ბოლო 12 წლის განმავლობაში ყაზახეთში მოზიდულ იქნა 264 მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიციები. ყველაზე დიდ ინვესტიციებს დაბანდნილნიანდამი, აშშ, საზარბაგაით, შვიციარია, რუსეთი, ჩინეთი – ძირითადად, ეკონომიკის საწვლელეულო სექტორში. ყაზახეთიდან ექსპორტირებულ საქონელს შორის ირიცხება ნავთობი, სპირტი, თუთია, შლაკაბი, მადანი, მინერალური საწვავი, შავი მთაბაზი და სხვ.

ამასთან დაკავშირებით, ექსპერტები კიდევ ერთ ნიუანსს გამოჰყოფენ: ასეთი დიდი ოდენობის ბუნებრივი ნედლეულის ქონის პირობებში ქვეყანა ექსპორტზე გადასამუშავებლად უშვებს ამ ნედლეულის დიდ ნაწილს, შემდგომ კი მზა პროდუქტის სახით ისევ იძენს. ეს ვითარება აჩენს შესაძლებლობას ბიზნესმენებისა და ინვესტორებისათვის, ააშენონ ქარხნები და გადამამუშავებელი საწარმოები ყაზახეთის ტერიტორიაზე, რაც პროდუქციის ღირებულების ფასის დაწევის საშუალებას იძლევა ქვეყნის შიდა მომხმარებლისათვის, ხოლო საექსპორტოდ ამ პროდუქტის ხარისხს გააუმჯობესებს.

ყაზახეთი ინვესტორებს ანიჭებს მყარ გარანტიებს. მათ შორის მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს კანონებითა და რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით; ინვესტორთა და სახელმწიფო ორგანიზაციების შორის დადებული ხელშეკრულებების პირობების სტაბილობით; ნაციონალიზაციისა და რეკვიზიციის შემთხვევაში ინვესტორს სრულად აუნაზღაურდება მიყენებული დანაკლისი; ინვესტორებს ასევე აქვთ თავისუფალი წვდომა ყველა აუცილებელ ინფორმაციაზე, რაც კი მათ საქმიანობას შეეხება ქვეყნის ტერიტორიის მასშტაბით.

სახელმწიფო ასევე ანიჭებს საინვესტიციო პრეფერენციებს: იმპორტის გათავისუფლება საბაჟო მოსაკრებლებისა და დღგ-საგან, სახელმწიფო გრანტები, საინვესტიციო სუბსიდიები და სხვ.

დაბოლოს, აუცილებლად უნდა აღნიშნოს, რომ ყაზახეთი სულაც არ არის „ველური კაპიტალიზმის“ ქვეყანა, ნეოკოლონიალიზმის ნიშნები. ყაზახეთმა განამტკიცა თავისი სუვერენიტეტი, ხოლო მისი სტაბილობა და მიმზიდველობა, პირველ რიგში, ეფუძნება სოციალურად დაცულ საზოგადოებას. წლიდან წლამდე უმჯობესდება სოციალური მაჩვენებლები. მოსახლეობის წილი, რომლის შემოსავალი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, 2001 წლის 46.7%-იდან შემცირდა 2.7%-მდე 2017 წელს. სიცოცხლის ხანგრძლივობა ამავე პერიოდში კი გაიზარდა 65.8 წლიდან 73 წლამდე. სწორედ ეს ფაქტორები ამყარებს განცდას, რომ ყაზახეთი არის საიმედოდ სტაბილური და ინვესტიციებისთვის შესაფერისი გარემო შემქმნელი სახელმწიფო.

რევაზ ბიორხალიძე

არასწორი კვება უფრო მეტ ადამიანს კლავს მსოფლიოში, ვიდრე თამბაქოს მოწევა!



195 ძველანაში კვების რისკების შესწავლის შემდეგ, 130-ზე მეტი მეცნიერისგან შემდგარი საერთაშორისო ჯგუფი ასკვნის, რომ არასწორი კვება დედამიწაზე გაცილებით მეტ სიკვდილს უკავშირდება, ვიდრე სხვა რისკ-ფაქტორები, თუნდაც თამბაქოს მოწევა, ან ნარკოტიკების გამოყენება.

„ავადობის გლობალური კვლევის“ შედეგები გასულ ოთხშაბათს ჟურნალ „ლანცეტში“ გამოქვეყნდა. აი, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომლის გაკეთების საფუძველსაც აღნიშნული ნაშრომი იძლევა:

- არაჯანსაღი კვება უკავშირდება გულსისხლძარღვთა დაავადებებს, კიბოს და მე-2 ტიპის დიაბეტს;
- დედამიწაზე ცუდ კვებას 11 მილიონამდე ადამიანის სიკვდილი მიეწერება, ანუ ყოველი მე-5 (2017წ.), ზოგადად, სიკვდილიანობის 22%;
- სპეციალისტები გვიჩვენებენ, რომ მივიღოთ მეტი მთლიანი მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული, თხილეული და თესლეული;
- მაქსიმალურად უნდა შევზღუდოთ რაციონში სოდიუმი (უხვადაა მარილში და სხვა საკვებ პროდუქტში); გადამუშავებული ხორცი; შაქარი (განსაკუთრებით ტკბილი სასმელები) და ენ. ტრანს-ცხიმები;

კვლევის მიხედვით, 11 მილიონი სიკვდილიდან თითქმის 10 მილიონი გულსისხლძარღვთა დაავადებებმა გამოიწვია, 913 000 – კიბომ და 339 000 – მე-2 ტიპის დიაბეტმა.

1990 წელს სიკვდილიანობის მაჩვენებელი 8 მილიონი იყო. წლიური მაჩვენებლის 11 მილიონამდე ზრდა მეცნიერების თქმით, უმეტესად დედამიწაზე მოსახლეობის და ასაკოვანი ადამიანების რაოდენობის ზრდას უკავშირდება.

არასწორ კვებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობა ყველაზე მაღალი იყო უზბეკეთში, ყველაზე დაბალი კი ისრაელში. ბრიტანეთი 23-ე ადგილზეა, შეერთებული შტატები – 43-ე, ინდოეთი – 118-ე და ჩინეთი – 140-ე. ისრაელის გარდა, ზედა ხუთეულში მოხვდა რამდენიმე ენ. ხმელთაშუა ზღვის დეიტის მიმდევარი ქვეყანა, როგორცაა ესპანეთი და საფრანგეთი. სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებელი აქვს იაპონიასაც.

ჩვენ ანალიზი აჩვენებს, რომ წამყვან რისკ-ფაქტორებს შორისაა სოდიუმის დიდი რაოდენობით მიღება, ჯანსაღი საკვების რაციონში ისეთი პროდუქტების ნაკლებად ჩართვა, როგორცაა მთლიანი მარცვლეული, ხილი, თესლეული და ბოსტნეული – ამ ბოზს კვლევის ხელმძღვანელი, ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მონაცემებისა და ევალუაციის ინსტიტუტის დირექტორი კრის მიურეი. მისი თქმით, მეცნიერები დიდი ხანია, ამას ხვდებოდნენ, თუმცა პირ-

ველად დაიდო მასშტაბური გლობალური კვლევის შედეგები, რომლებიც მათ ეჭვებს ადასტურებს.

ნაშრომის მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 12% იღებს საკმარისად რეკომენდებული თესლეულის რაოდენობას. უმრავლესობა კი სასურველზე 10-ჯერ მეტ ტკბილ სასმელს სვამს და ორჯერ მეტ გადამუშავებულ ხორცს მიირთმევს.

ამავე დროს, დედამიწაზე 800 მილიონ ადამიანს საკვები არასაკმარისად აქვს. არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ შიმშილი და ჭარბონიანობა, ორივე მალნუტრიციის ფორმებია. ვაშინგტონში მდებარე კვლევითი ორგანიზაციის, „სტრატეგიულ და საერთაშორისო სწავლებათა ცენტრის“ მონაცემებით, ჯანდაცვის სისტემებს მალნუტრიცია მთელი მსოფლიოს მასშტა-

ხილი (ახალი, გაყინული, გამოშვებული, დაკონსერვებული, ან გამხმარი. არ ითვლება დამარილებული, ან დამყვებული)	250 გრ. (200-300გრ)
ბოსტნეული (ახალი, გაყინული, გამოშვებული, დაკონსერვებული, ან გამხმარი. არ ითვლება დამარილებული, ან დამყვებული)	360 გრ. (290-430გრ)
პაროსანი (მარცხ, სოიო, ლობიო... ახალი, გაყინული, გამოშვებული, დაკონსერვებული, ან გამხმარი. არ ითვლება დამარილებული, ან დამყვებული)	60 გრ. (50-60გრ)
მთლიანი მარცვლეული (თორბალი, წიწიბურა, ქერი, ქვევი, შვრია, სიმინდი, ბრინჯი...)	125 გრ. (100-150გრ)
თხილეული და თესლეული	21 გრ. (16-25გრ)
რძე (წებისმიერი ცხიმინობის არა-მცენარეული)	435 გრ. (16-25გრ)
წითელი ხორცი (ძროხის, ღორის, ცხვრის, თხის... არა - ჯერვები, ქათამი, ან თევზი)	23 გრ. (18-27გრ)
გადამუშავებული ხორცი (შებოლილი, დამარილებული, ქიმიურად დამუშავებული)	3 გრ. (0-5გრ)
წვენი (გაზიანი სასმელები სოდიუმით, ტკბილი წყლები, ხილის წვენი)	3 გრ. (0-5გრ)
კალციუმის სხვა წყაროები (მწიფი, ხაჭო, ყველი...)	1-25 გრ. (1-50გრ)
ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავები (ძირითადად - თევზადი მცენარეული ზეთები)	11% დღიური ენერჯის (9-13%)

ბით წელიწადში 3.5 ტრილიონი დოლარი უჯდება. აქედან გულსისხლძარღვთა დაავადებების და მე-2 ტიპის დიაბეტის წილი 2 ტრილიონია.

მაშინ როცა სახელმწიფოს ძლიერება და სტაბილურობა მისი მოსახლეობის ჯანმრთელობასთან პირდაპირ კავშირშია, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მალნუტრიცია დედამიწაზე მცხოვრებ ყოველ მესამე ადამიანს ეხება და ეს სახელმწიფო ჯანდაცვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს, – ნათქვამია „სტრატეგიულ და საერთაშორისო სწავლებათა ცენტრის“ კვლევაში „ნუტრიენტები და კეთილდღეობა“. ნაშრომის მიხედვით, ნუტრიენტებს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ბავშვის სრული პოტენციალის მიღწევის საქმეში და ფინანსურად ეს სახელმწიფოსთვის ყველაზე ეფექტური ინვესტიციაა, რომელიც მას ყოველ ინვესტირებულ დოლარზე, 416 დოლარის მოგებით უბრუნდება.


დასასრულს, ამ თემაზე კიდევ ერთ საინტერესო გლობალურ კვლევაზე ვისაუბრებთ. ის ჭარბონიანობაზე და ანემიაზე ამხვილებს ყურადღებას და ნაშრომში საქართველოც არაერთხელ არის ნახსენები. „2018 წლის ნუტრიენტების გლობალური ანგარიში“, რომელმაც 194 ქვეყანა შეისწავლა, აჩვენებს, რომ დედამიწაზე 1.9 მილიარდი ადამიანი ჭარბონიანია, აქედან 41 მილიონი ბავშვია. ჭარბი წონა ქალების 15 პროცენტის პრობლემაა, ანემია კი ორსული ქალების 40.1 პროცენტს აწუხებს და არა მარტო ორსულებს.

როგორც გლობალური ანგარიშიდან ირკვევა, საქართველოში ორივე პრობლემა, მალნუტრიცია და ანემია ისევე მწვავე პრობლემებად რჩება. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ „2018 წლის ნუტრიენტების გლობალური ანგარიში“, იქ, სადაც ჩამოთვლილია ქვეყნები, რომლებიც პრობლემის დაძლევაზე და პროგრესის მისაღწევად დასახულ მიზნებზე მუშაობენ, საქართველო არ არის. ის იმ სიაში მოხვდა, სადაც 2018 წელს ამ მიმართულებით არც ერთ რეკომენდებულ მიზანზე არ უმუშავიათ.

დაბოლოს: დაგუბრუნდეთ „ავადობის გლობალურ კვლევას“ რომელზეც სტატიის დასაწყისში ვსაუბრობდით. ნაშრომში მოცემულია სპეციალისტების რეკომენდაციები საკვების დღიურ ნორმებთან დაკავშირებით, თუ იდეალურ შემთხვევაში ჯანმრთელობა ადამიანმა რომელი პროდუქტი დღეში რა რაოდენობით უნდა მიიღოს.

აღნიშნული ნაშრომი ბრიტანულ სამეცნიერო ჟურნალ „ლანცეტში“ 3 აპრილს გამოქვეყნდა. კვლევა დააფინანსა ბილ და მელინდა გეიტსების ფონდმა.

მანია ძვარცხავა



ამერიკული უპილოტო თვითმფრინავი კალინინგრადის თავზე

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სტრატეგიულმა უპილოტო თვითმფრინავმა RQ-4B-40 Global Hawk რუსეთის დასავლეთის საზღვართან, კალინინგრადის მიმდებარე ტერიტორიაზე სადაზვერვო ფრენა განახორციელა. ამის შესახებ ინფორმაციას ტვიტერში ფრენების მონიტორინგის პორტალი PlaneRadar ავრცელებს.

დრონი საბორტო ნომრით 112048 იტალიაში საზღვაო ავიაბაზა სიგონელადან აფრინდა. 7:10 საათზე ბალტიის ზღვის თავზე გამოჩნდა, 11-ზე ლიტვას გადაუფრინა და კალინინგრადის საზღვარს მიუახლოვდა.

ლიბიაში სამოქალაქო ომია - დაღუპულია 150-მდე კაცი

ლიბიაში სამომავლო მოქმედებების შედეგად მსხვერპლთა რაოდენობა 147-მდე გაიზარდა. დაჭრილია 614 ადამიანი. ამის შესახებ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი.

ლიბიის ეროვნული არმიის მარშალმა ხალიფა ჰაფთარმა 4 აპრილს ქვეყნის დედაქალაქ ტრიპოლზე იერიში დაიწყო. ჰაფთარის არმიის ქვედანაყოფებმა კონტროლი დაამყარეს ქალაქებზე გარაიანსა და სურმანზე, რომლებიც ლიბიის დედაქალაქის სამხრეთით მდებარეობს.

ჰაფთარის არმიამ ასევე ავიადარტყმები მიიყენა ტრიპოლის საერთაშორისო აეროპორტს, რის გამოც ყველა რეისი გაუქმდა.

მთავრობისადმი დაქვემდებარებულმა, ლიბიის შეიარაღებულმა ძალებმა 7 აპრილს ჰაფთარის არმიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო.

მუამარ კადაფის დამხობისა და მკვლელობის შემდეგ 2011 წელს ლიბიაში პოლიტიკური კრიზისი დაიწყო. ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა.

აღმოსავლეთ ნაწილს განაგებს პარლამენტი, დასავლეთით – ტრიპოლიში კი განთავსებულია გაეროსა და ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ეროვნული თანხმობის მთავრობა, რომელსაც ფაიფუ სარაჯი ხელმძღვანელობს.

აღმოსავლეთ ნაწილის ხელისუფლება მოქმედებს ტრიპოლისგან დამოუკიდებლად და თანამშრომლობს ლიბიის ეროვნულ არმიასთან მარშალ ჰაფთარის ხელმძღვანელობით.

გაერო ლიბიას სთავაზობს 2019 წლის გაზაფხულზე არჩევნების ჩატარებას, რომლის შედეგებით უნდა მოხდეს ლეგიტიმური სახელისუფლებო ორგანოების ფორმირება.



ს.ს.ი.პ - წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

<p>ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება</p>	<p>ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო</p>		<p>გაუქმების საფუძვლად;</p>
<p>1</p>	<p>საიდენტიფიკაციო ნომერი</p>	<p>202 482 571</p>	
<p>2</p>	<p>მისამართი/ტელეფონი</p>	<p>ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14</p>	<p>ი) ლიცენზიის მფლობელმა ობიექტის შესწავლის პერიოდში, პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;</p>
<p>3</p>	<p>ელ-ფოსტა</p>	<p>info@nam.gov.ge</p>	
<p>4</p>	<p>სარგებლობის ლიცენზიის სახე</p>	<p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია</p>	
<p>5</p>	<p>სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის</p>	<p>სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:</p> <p>ა) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;</p> <p>ბ) შესწავლის პერიოდში მებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობის ივენსტიცია;</p> <p>გ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს 2019 წლის დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, განახორციელებული შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის პირველი დეკემბერი. ლიცენზიის შესწავლის პერიოდში ყოველწლიურად არაუმეტეს პირველი აპრილისა წარდგინოს წინა წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში. დეტალური სამუშაოები (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ</p>	<p>კ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;</p> <p>ლ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიცენზიანტი ვალდებულია უზრუნველყოს ამავე კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.</p> <p>მ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის</p>
	<p>შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით; გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის;</p> <p>დ) ლიცენზიის გაცემიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ, ლიცენზიის მოქმედების მთელ პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად არანაკლებ საქართველოს 30 (ოცდაათი) მოქალაქის დასაქმება;</p> <p>ე) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორული კომპანიის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის (2 000 000 (ორი მილიონი) ლარი) განხორციელებას;</p> <p>ვ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული პირობის უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია 100 000 (ასი ათასი) ლარზე, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 2 (ორი) თვით უნდა აღმატებოდეს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;</p> <p>თ) „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებლობა შესაძლებელია განხილულ იქნას ლიცენზიის</p>		<p>ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>ნ) არ დაზიანდეს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.</p> <p>ო) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>პ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ჟ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.</p> <p>რ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>ს) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ვერძალბა გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>ტ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღისეულის სარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;</p>

ე მანდ, „ორთაჭალის ტურფას“ არ გაიფიქრებ!



„ორთაჭალის ტურფას“ მოსახლეობა დაუზღავ ვალერი გელაშვილს 3 კორპუსის მშენებლობის გამო უპირისპირება

„სამშაბათი ნაწილი ჩაგვეკეტა და კორპუსამდე მისასვლელი გზა აღარ გვაქვს“ – „ორთაჭალის ტურფას“ მოსახლეობა კომპანია Lit Geo-ს მშენებლობას აპროტესტებს.

„ორთაჭალის ტურფას“ დასახლებაში კომპლექსის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე თვის წინათ დაიწყო, თუმცა მოსახლეობა ახალი კორპუსების მდებარეობასა და სამშენებლო პროცესით გამოწვეული შეფერხებების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს. რამდენჯერმე საპროტესტო აქციაც მოაწყო. დაგროვილ კითხვებზე კი პასუხსაც არავინ სცემს!

„არა აქვს ამათთან შეხვედრასაც აზრი, ეკითხები მშენებლობის ხელმძღვანელს და გეუბნებიან, „ჩემია და მორჩაო, მე თუ მინდა ბოსტანს გავაკეთებო“, რა უნდა ველაპარაკო,“ – აცხადებს კორპუსის ერთ-ერთი მაცხოვრებელი გოჩა გაგოშიძე. მისივე თქმით, ეს დავა ახალ კორპუსებთან დაკავშირებით, რომელთაც კომპანია Lit Geo აშენებს, დიდი ხანია, გრძელდება. თავდაპირველი მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდან, რომ ეს კორპუსები ზედმეტად ახლოს იყოს სხვა კორპუსებთან, დაკმაყოფილდა მერიაში შეტანილი განაცხადის მეშვეობით, თუმცა პროექტის შეცვლილი ვარიანტიც კვლავ უკმაყოფილებსა და გაუგებრობის საგანი გახდა.

„ეს არის 2005 წლის პროექტი, ჩვენი კორპუსის სადარბაზოდან 6 მეტრის მშორებით სამი კორპუსის აშენებას აპირებდნენ. შარშან ამაზე პროტესტი გამოვთქვით და მოლაპარაკების შედეგად დაგვიტოვეს 2000 კვადრატული მეტრი ფართის უზო, სანაცვლოდ იმ კომპანიას სხვა მიწა მისცეს. მაგრამ ახლა სავალი ნაწილი ჩავიკეტეს და კორპუსამდე მისასვლელი გზა არ გვაქვს,“ – ამბობს გოჩა გაგოშიძე.

მცხოვრებთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის მთავარი მიზეზი ადგილობრივებსა და ინვესტორს შორის კომუნიკაციის სიმცირეა.

„ეს არის ინვესტორის პრობლემა, რომელიც არ აწვდის ისედაც დაბნულ მოსახლეობას ზუსტ ინფორმაციას. ეს ჩვეულებრივი დისკომუნიკაციაა, რომელიც ამ ხალხს ააბუნტებს, ააყვირებს და რითი დამთავრდება, კაცმა არ იცის,“ – აცხადებს „ორთაჭალის ტურფას“ ერთ-ერთი მცხოვრები. „კომერსანტი“ დაუკავშირდა „ორთაჭალის ტურფას“ კომპლექსის დასრულებაზე პასუხისმგებელი კომპანიის Lit Geo-ს ხელმძღვანელს, დეპუტატს ვალერი გელაშვილს, რომელიც აცხადებს, რომ კომპანია დათმობაზე უკვე წავიდა და მცხოვრებლების სასარგებლოდ კორპუსებს შორის დაშორება გაზარდა. რაც შეეხება სამანქანო ნაწილს, ბიზნესმენი მიიჩნევს, რომ მშენებლობის დასრულებამდე პარალელური სავალი ნაწილის გამოყენება პრობლემას არავის შეუქმნის.

„ჩვენ პროექტის კორექტირებას ვახდენთ, რათა ახალ ნორმებში ჩავვდეთ, ანუ დაშორება გაგზარდოს უკვე აშენებულ მესამე კორპუსსა და ახალ კორპუსს შორის. ჩვენ მოვანგარიშებთ ზღვას და საკმარის სამოდროს ადგილს ვუტოვებთ მოსახლეობას, არსებობს პარალელური გზა და იქიდან ჩავლენ, რა პრობლემაა. მე მცხოვრებლებს ადრე ვთხარო, რომ კორპუსებს შორის იმდენ მანძილს დავტოვებდი, რამდენიც ნორმითაა გათვალისწინებული. ჩემთვის ზარალია ეს ყველაფერი, მაგრამ ხალხის აზრს ვითვალისწინებთ,“ – ამბობს ვალერი გელაშვილი.

პროექტ „ორთაჭალის ტურფას“ ფარგლებში ზემოხსენებულ ტერიტორიაზე, რომელიც არტურ ლაისტის 3 ნომრის მოპირდაპირედ მდებარეობს, სამი კორპუსი აშენდება – ერთი 10-სართულიანი, ხოლო ორი – 8-სართულიანი. მშენებლობის დაწყება მაისშია გადაწყვეტილი, ამჟამად კი განმედიით სამუშაოები მიმდინარეობს. კომპლექსის დასრულება ერთ წელიწადში იგეგმება.

ორთაჭალის ტურფა სამშენებლო კომპანია „არსის“ პროექტია, 2013 წელს „არსმა“ საქართველოს ბანკს უჩივლა. მაშინ კომპანიაში აცხადებდნენ, რომ „არსმა“ „საქართველოს ბანკს“ „ორთაჭალის ტურფას“ ობიექტის სესხის თანხა გადაურიცხა, თუმცა ბანკმა აღნიშნული თანხა კომპანიის სხვა ობიექტის დავალიანების დასაფარად მიმართა. სასამართლოს დახმარებით მოგვიანებით ამ ტერიტორიაზე შემოიყვანეს ინვესტორი, რომელსაც გადაეცა კომპლექსისთვის განკუთვნილი მიწა მშენებლობის დასასრულებლად. ეს კომპანიაა Lit Geo.

მარიამ მორგოზია

		<p>უ) სამუშაოების ჩატარებისას ლიცენზიის მფლობელმა არ დაზიანოს და არ დააზიანოს სალიცენზიო ობიექტზე მდებარე სოფლის წყალმომარაგების სათავე ავზი.</p> <p>ფ) ვინაიდან სალიცენზიო ტერიტორიას სოფლის მოსახლეობა იყენებს პირუტყვის საძოვრად, სამუშაოების ჩატარებისას საძოვრის დაზიანება უნდა დავიდეს მინიმუმამდე.</p> <p>ქ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;</p> <p>ღ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.</p> <p>ყ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.</p> <p>შ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსარგებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იმავითი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>ჩ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.</p> <p>ც) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაჩკის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის - „ხაჩკის“ ოქრო-სპილენძ-ბილიმეტალების შესწავლა-მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხაჩკის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	16 250 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	1 625 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	8 325 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 17 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 16 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 16 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

„მზიურის“ ჩეაბილიტაცია ბრძელდება

ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ მიმდინარე სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე ვიცე-პრემიერთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილთან ერთად გაეცნო.

„მზიური“ ჩვენი დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი ადგილია. პარკი ქალაქის ცენტრში მდებარეობს, თუმცა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა არავის მოგწონს. 13 ივნისს მომხდარი სტიქიის დროს პარკის ტერიტორია სერიოზულად დაზიანდა. სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომლის ფარგლებშიც, პარკი მონესრიგდება და სრულად განახლდება, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს. შეიქმნება საბავშვო სივრცეები, ხელოვნური ტბა, ველობილიკები, ახალგაზრდებისთვის კი, სკეიტბორდის მოედანი მოეწყობა. ვფიქრობ, რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, განახლებული მწვანე სივრცეებითა და დენდროლოგიური პროექტით, „მზიური“ დედაქალაქის ცენტრში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იქნება, სადაც დასვენების შესაძლებლობა ყველა თაობის ადამიანს ექნება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

5 ოქტომბერი, 6 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი – ასეთი ნადავლით დაასრულეს ქართველებმა ძალოსნებმა ბათუმში გამართული ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრება, ბოლო სამი წლის ფორუმების მსგავსად, ლაშა ტალახაძის ტრიუმფით დამთავრდა – საჩხერელმა გოლიათმა პირველობის სამი „ოქრო“ მსოფლიოს რეკორდებით დაამყარა. „ტალახაძემ ტრიუმფალური ფინალი აჩუქა როგორც ქართველ, ისე ევროპელ მაყურებელს“, – აღფრთოვანება ვერ დამალა ტელეარხს ევროსპორტის კომენტატორმა.

რიოს თამაშების გამარჯვებულმა, მსოფლიოს და ევროპის სამ-სამგზის ჩემპიონმა ლაშა ტალახაძემ მძიმე წონის ათლეტთა პაექრობის პირველსავე ცდაზე 208 კილოგრამი აიტაცა და ამ მოძრაობაში ოქროს მედალი დაიბეჭდა, მაგრამ ამას არ დასჯერდა და მეორე ცდაზე 218 კილოგრამით შარშან აშხაბადში მსოფლიოს ჩემპიონატზე დამყარებული საკუთარი რეკორდი კილოგრამით გააუმჯობესა, მესამე ცდა კი არ გამოუყენებია. 206 კილოგრამით მეორე ადგილზე გავიდა ჩვენი ქვეყნის ძალოსანთა ნაკრების კაპიტანი ირაკლი თურმანიძე, რომელსაც „ვერცხლი“ ერგო. ჩვენებურს 6 კილოგრამით ჩამორჩა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების სომეხი პრიზიორი გორ მინასიანი, რომელმაც ორჯერ შეუტია 205 კილოს, მაგრამ – უშედეგოდ და საბოლოოდ ბრინჯაოს ჯილდოს დაყაბულდა.

ლაშა ტალახაძე შეუდარებელი იყო აკვრაშიც – 260 კილოგრამით მან აშხა-

ლაშა ტალახაძის მოქროვილი ჩაქორღები



ბადში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი 3 კილოგრამით გააუმჯობესა, ორჭიდის ჯამში კი 478 კილოს მოუყარა თავი, რაც უწინდელ მსოფლიოს მიღწევას (ისიც ლაშას ეკუთვნოდა) ოთხი კილოგრამით აღემატება. აკვრაში 245 კილოგრამით მეორე ადგილზე სომეხი რუბენ ალექსანიანი გავიდა, ხოლო 241 კილოგრამით მესამე იყო ირაკლი თურმანიძე. მძიმე წონის გარდა, ქართველმა ათლეტებმა შეჯიბრების ბოლო ორ დღეს კიდევ სამი მედალი დაიმსახურეს: 96 კილოში ანტონ პლესნოიმ ატაცა 173 კი-

ლოთი მეორე ადგილი დაიკავა, აკვრაში 204 კილოთი მე-4 იყო, ორჭიდში კი 377 კილოთი მესამეზე გავიდა. 102 კილოგრამ წონით კატეგორიაში ირაკლი ჩხეიძეს ატაცა 169 კილოთი ბრინჯაოს მედალი ერგო, აკვრაში 203 კილოთი მე-6 ადგილს დაყაბულდა, ხოლო ორჭიდში 372 კილოთი მე-4 ადგილზე გავიდა. ჩვენმა ვაჟთა ნაკრებმა 636 ქულა მოაგროვა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. ბელარუსს 634 ქულით მეორე, სომხეთს კი 596 ქულით მესა-


მე ადგილი ხვდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ხახტაძემ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის ორგანიზატორებსა და ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციას მადლობა გადაუხადა: „ძალოსნობის ფედერაცია, მართლაც, გამორჩეული და ყველაზე წარმატებულია. საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერი ტურნირის ძალიან მაღალ დონეზე მასპინძლობა ძალოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებით და ეს მხოლოდ დასაწყისია. ყველა ქართველს, სპორტის ყველა გულშემატკივარს ვულოცავ დღევანდელ დღეს. ყველაზე ძლიერი ადამიანი ქართველია – ის არის ლაშა ტალახაძე, ამით ყველაფერი ნათქვამია, გილოცავთ!“ – განაცხადა პრემიერმა...

- კვარცხლბეკი ვაჟები**
96 კგ. 1. იაუჰენი ციხანცოუ (ბელარუსი) – 400 (178+222), 2. ევგენი ლიმონოვი (რუსეთი) – 378 (168+210), 3. ანტონ პლესნოი (საქართველო) – 377 (173+204);
102 კგ. 1. დმიტრო ჩუმაკი (უკრაინა) – 391 (175+216), 2. სამველ გასპარიანი (სომხეთი) – 377 (168+209), 3. ვაჰიმ სტრალცოუ (ბელარუსი) – 376 (170+206), 4. ირაკლი ჩხეიძე (საქართველო) – 372 (169+203);
+109 კგ. 1. ლაშა ტალახაძე (საქართველო) – 478 (218+260), 2. ირაკლი თურმანიძე (საქართველო) – 447 (206+241), 3. რუბენ ალექსანიანი (სომხეთი) – 440 (195+245).

ლევან ცინცაძე

ჭილაოვა

რუშინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დამთავრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა ფალანგებმა ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მძიმე წონაში (130 კგ) იაკობ ქაჯაიამ ზედიზედ ორ მეტოქეს – ფინელ პეიკი ლაჰტისა (9:0) და პოლონელ ანჯეი კრაიევსკის (9:0) მშრალი ანგარიშებით აჯობა, ნახევარფინალში კი მსოფლიოს



მოქმედ ჩემპიონსა და რიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ სერგეი სემიონოვს (რუსეთი) 3:2 სძლია. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ქაჯაია მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონთან, ევროპის პირველობის 7-გზის გამარჯვებულთან, ოლიმპიადების ვერცხლისა და ბრინჯაოს თურქ პრი-

მედლებით, მებრამ უჩაგვიონოდ

ზიორ რიზა კაიაალპისთან 0:3 დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

82 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ასევე, ვერცხლის მედალი მოიპოვა ლაშა გობაძემ. იგი შეჯიბრებაში მერვედფინალიდან ჩაება: ჯერ მოლდოველ მიჰაილ ბრადუს 5:4 მოუგო, მერე რუს ალექსანდრ კომაროვს 5:0 აჯობა და ნახევარფინალში ფინელი ვილი როპონენი დაამარცხა ნამებში – 11:0. სატიტულო პაექრობა გობაძემ დანიის სახელით მოასპარეზე რაიბეკ ბისულთანოვთან 3:4 დათმო და მე-2 ადგილზე გავიდა. 63 კილოში ლევან ქაჯარაძემ მეოთხედფინალში უნგრელი ბენჩე კოვაჩი 10:0 დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში მომავალ გამარჯვებულთან, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ სტეპან მარინიანთან (რუსეთი) ვერაფერს გახდა – 3:11. სამაგიეროდ, ბრინჯაოს მედალისთვის შერკინებაში მან პოლონელი მიხალ ტრაჩი დაჯაბნა (5:2).

მესამე ადგილზე გასვლის რეალური შანსი ჰქონდა საჩინო დავითიას (67 კგ). პირველ წრეში მან ფრანგ იასინ ოზაის სძლია – 6:4, მერე გერმანელ ერიკ ვაისს აყარა შავი დღე – 9:0, მეოთხედფინალში უკრაინის სახელით მოჭიდავე პარვიზ ნასიბოვს მოუგო მინიმალური ანგარიშით – 2:1, თუმცა, ნახევარფინალში ჩვენებურს თურქმა ათაქან იუქსელმა აჯობა – 3:1. დავითიამ „ბრინჯაოსთვის“ რუსთა ევროპის და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ არტიომ სურკოვს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბოლო გაფრთხილებით 1:2 დათმო შეხვედრა და უმედლოდ დარჩა.

ლაშა დიღია

ჰოკეი

ფინური სასნაული

ჰოკეის სამშობლოს – კანადის ქალთა ნაკრები პირველად დარჩა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს მიღმა – მისი ჰეგემონია ფინეთში გამართული მე-19 ფორუმის ნახევარფინალში მასპინძლებმა დაამხეს – 4:2.

მეტიც – „სუომი“ აღნიშნულ სენსაციას არ დასჯერდა და ფინალში „ნეკერჩლის ფოთოლს“ კინალამ უკანასკნელი უკვე ხუთი მუნდიალის ტრიუმფატორი აშშ-ც მიაყოლა – 1:1. ოკეანის-გალმელებმა ტიტულის შენარჩუნება მხოლოდ პენალტების სერიის უკეთ შესრულებით მოახერხეს – 2:1. სხვათა შორის, ამერიკელებმა ნახევარფინალში 8:0 ის რუსეთი დაჯაბნეს,

რომელსაც ჯგუფურ რაუნდში კიდევ უფრო სასტიკად – 10:0 გაუსწორდნენ. ისიც სათქმელია, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებზე ჯავრი „ბრინჯაოსთვის“ ბრძოლაში კანადელებმაც იყარეს – 7:0.

ასე რომ, ისინი ჯერაც რჩებიან ყველაზე წარმატებულ გუნდად – 10 „ოქრო“, თუმცა, მათ თითქმის დაენია აშშ, რომელიც გვირგვინოსანი მე-9 გახდა. რაც შეეხება ბრინჯაოს მედლებს, მის მფლობელთა ნუსხა ასეთია: ფინეთი – 12, რუსეთი – 3, შვედეთი – 2, შვეიცარია და კანადა – 1-1.

პიტალი ჯაფარიძე

ჩოგბურთი

ერთიუღაზის, წყვილუზის



ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც პორტუგალიურმა ოზიდოშმა უმასპინძლა, წარმატებით ითამაშეს ქართველებმა: ერთეულელებში მარიამ ბოლქვაძემ ხუთი მეტოქე დაამარცხა: ემილი ვებლი-სმითი (დიდი ბრიტანეთი, 6:3, 6:1), დანიელა ვისმანე (ლატვია, 6:3, 6:0), კრისტინა ბუკსა (ესპანეთი, 6:3, 6:1), თანამემამულე სოფიო შაფათავა (6:2, 6:2) და ფინალში ნურია პარიზას-დიასს (ესპანეთი) აჯობა – 6:2, 7:6. შაფათავამ ნახევარფინალამდე რეიტინგ-ფავორიტ

ხეორხინა გარსია-პერესს (ესპანეთი, 6:1, 6:2), რომი კოელზერსა (გერმანია, 2:6, 6:4, 7:6) და ანასტასია შუშინას (უკრაინა, 6:4, 6:2) სძლია. წყვილებში სოფიო შაფათავას და ემილი ვებლი-სმითის (დიდი ბრიტანეთი) დუეტმა მოუგო მარიამ ახალაიას (მოლდოვა) და ინეს ოლივეირას (პორტუგალია, 6:1, 6:1), კრისტინა ბუკსასა და ნურია პარიზას-დიასს (ესპანეთი, 6:4, 6:1), გეორგანა ტოპალოვასა (ბულგარეთი) და დანიელა ვისმანეს (ლატვია) 6:3, 6:1). გადამწყვეტ შეხვედრაში კი მარიამ ბოლქვაძისა და ნასტასია კოლარის (სლოვენია) ტანდემს აჯობა – 6:1, 2:6, 11:9 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

გივი ბაგვა

რაგბი ჩვენი თამაშია!

სვალ – რუსებთან

წარმატებით დაიწყო რუსეთის ქალაქ კალინინგრადში მიმდინარე 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“. დავით ჩავლეიშვილის განვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა 7 ლელო დაუდო გერმანიას (ქობალია – 2, ნინიაშვილი, ცინცაძე, ხონელიძე, სომხივილი, ქუშაშვილი) და იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე – 46:0. სვალ ნახევარფინალში ჩვენი გუნდი რუმინელთა 13:11 მძლეველ მასპინ-



ძლებს შეხვედრა, მათი წინააღმდეგობის შემთხვევაში კი ესპანეთ-პორტუგალიის პირენეულ ჯახში უძლიერესთან მოუწევს მოქმედი გვირგვინოსნის სტატუსის დაცვა, რაც შეუძლებლად სრულიადაც არ გვესახება.

კოზა კოზახიძე

თაოჯა



პიქვებ ერთხელ გაგვხვარეს ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის აღსაზრდელ-

სრული კომპლექტით

ლებმა, რომლებიც სოფიაში სეზონის ფინიშზე გამართულ მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირ „სეკიტ ვიტტორიაზე“ შეიდი ფიგურისტი გაემგზავრნენ. მათგან ბულგარეთის დედაქალაქში საპატიო კვარცხლბეკის სხვადასხვა საფეხურზე ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ავიდნენ: დავით გურგენიძე – „ოქრო“, ილია გოგიტიძე – „ვერცხლი“ და ეკატერინე იაზაძე – „ბრინჯაო“.

ბაჟან დოლიძე

აპრილი „ნასესხების“ შედეგ აუჩქვს!

გუშინ, 15 აპრილს, აღმოსავლეთ საქართველოში ხანმოკლე წვიმა და სეტყვა იყო, დასავლეთში – ხანმოკლე წვიმა, თბილისში – ცვალებადი ღრუბლიანობა, ტემპერატურა +22 გრადუსი...

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში უახლოეს დღეებში ტემპერატურა დაიკლებს და +17 გრადუსი იქნება, უმეტეს რაიონებში მოსალოდნელია ნალექი წვიმის სახით, ზოგან შესაძლებელია სეტყვაც. მთიან რაიონებში ჰაერი +19 გრადუსამდე გათბება, ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ძლიერი წვიმა და სეტყვა



დასავლეთ საქართველოს ბარში ტემპერატურა +13, +22, გრადუსი იქნება და უმეტეს რაიონებში აქაც წვიმა მოსალოდნელი, ზოგან ძლიერი. ძლიერი წვიმა მთიან რაიონებშიც.

მაღალმთიან რაიონებში როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში ტემპერატურის კლება და თოვლქყაპია მოსალოდნელი.

თბილისში ტემპერატურა უახლოეს დღეებში +21 გრადუსამდე დაიკლებს, მომდევნო სამი დღის განმავლობაში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელქვიტით, გაძლიერდება დასავლეთის ქარი და მისი სიჩქარე 25მ/წმ მიაღწევს.

გაქნილი მქრთამე დააკავს!

საპარტიველო ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ - სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.



გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული თაღლითურად დაუკავშირდა და ნდობაში შევიდა ერთ-ერთ პირთან, რომელსაც დამატებითი ღირებულების გადასახადში ერიცხებოდა ზედმეტობა 112 000 ლარის ოდენობით, დაარწმუნა იგი, რომ სხვადასხვა მაღალი რანგის მოხელის მეშვეობით, შეეძლო დახმარებოდა მას დღეს ნაწილში არსებული ზედმეტობის განაღდებაში, რაშიც მოსთხოვა 35 000 ლარი. აღნიშნული თანხიდან ბრალდებულმა წინასწარ მოითხოვა და გამოართვა 20 000 ლარი, რა დროსაც მოხდა მისი დაკავება.

დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9-წლამდე ვადით.

სენაკის ცენტრიდან TBC ბანკის გაღების აპარატი მოიპარეს

არსებულ ინფორმაციით, შემთხვევა გვიან ღამით რაიონულ სასამართლოსა და პროკურატურის შენობებიდან რამდენიმე მეტრში მოხდა.

მოპარული ბანკომატი პროკურატურის გვერდით მდებარე ეზოში შეიტანეს, დაამსხვრიეს და იქვე დატოვეს. გატაცებული ინფორმაციით, მოპარული

აპარატიდან დაახლოებით 50 ათასი ლარია წაღებული. ადგილზე კრიმინალისტები მუშაობენ, ამოღებულია სათვალთვალო კამერების ჩანაწერები. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს. ამ დრომდე დაკავებული არავინ არის.

ლავასოლიმ თურქეთის სიხეში მხარული შიშვილოვა დაიწყო

ძარტიველმა „კანონიერმა ქურდმა“, მინდია გორაძემ, ანუ იგივე ლავასოლიმ, რომელიც წინა საექსტრადიციო სასჯელს თურქეთში იხდის, შიშვილოვა დაიწყო. როგორც მისი ადვოკატები ამბობენ, ლავასოლი უკვე 2 დღეა, მხარულ შიშვილოვაზეა. შიშვილოვის მიზეზი ის გახდა, რომ გორაძეს, ადვოკატების განმარტებით, უსამართლოდ დევნიან და ამ დრომდე არ არის გადაწყვეტილი, როდის მოხდება მისი ექსტრადირება.



„სახელმწიფოს ყველანაირი ბერკეტი ჰქონდა, რომ აქამდე მოეხდინა ექსტრადიცია, თუმცა სახელმწიფომ არ გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლება. მაშინ კეთილი ინებოს სახელმწიფომ და ნულარ ანვალევენ მას, უცხო ქვეყანაში მანაც დაანებონ თავი და შეეშვან,“ – ამბობს ლავასოლის ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე.

სასჯელი ორი არასრულწლოვანი გერის გაუპატიურებისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვანი გერების გაუპატიურებაში ბრალდებული გ.ფ დამნაშავედ ცნო. სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ, გ.ფ წლების განმავლობაში ძალადობის გამოყენებით სექსუალურ კავშირს ამყარებდა ორ არასრულწლოვან გერთან. სამართალდამცველებმა გ.ფ თბილისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111,138-

ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეუბნებით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ გაუპატიურება, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით, დამნაშავესთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწევლად) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ფ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გახსენება

ლიანა ღუდუზაური

ორმოცი მწუხარებით აღსავსე დღე გავიდა ჩვენი საყვარელი მეგობრის ლიანა ღუდუზაურის გარდაცვალებიდან, რომელმაც მთელი ცხოვრება ღირსეულად ატარა გამოჩენილი ქართველი მოკრივისა და ვაჟკაცის ლეენ ღუდუზაურის შვილის საამაყო სახელი.

ლიანა იყო ყველასგან განსხვავებული პიროვნება. ღმერთმა თითქოს იმისათვის მოავლინა ამქვეყნად, რომ თავის გარშემო მხოლოდ სიკეთე ეთესა. ახლობელი და მშობლიური იყო თითოეული ჩვენგანისათვის. სიხარული, სიყვარული და ღრმა სულიერება შემოჰქონდა ჩვენს ოჯახებში, სადაც ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო. მას ჰქონდა მოსმენისა და თანაგრძნობის, ადამიანების სულში წვდომისა და გაგების იშვიათი უნარი.

ყველას გვაოცებდა მისი მრავალმხრივი ნიჭიერება, რომელიც ყველაფერში ვლინდებოდა. ლიანა იყო სტანდარტიზაციის დარგის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი, თვითნასწავლი მხატვარი-ხელოვანი. მის მიერ მძივებით ამოქარგული საქართველოს დიდ მოღვაწეთა პორტრეტები, პეიზაჟები, ეკლესია-მონასტრები ბევრ სახელგანთქმულ მუზეუმს დაამშვენებდა. ნაყოფიერად მოღვაწეობდა რესპუბლიკის ქალთა საბჭოში, სადაც იყო მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიების მოთავე და მონაწილე (საქველმოქმედო საღამოები მრავალშვილიანი დედების, ნიჭიერი ახალ-



გაზრდა შემსრულებლების, შრომის ვეტერანებისა და სხვათა დასახმარებლად; გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ქალის საიუბილეო საღამოები, გამოფენები და ა. შ.).

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მაღალი პატრიოტიზმი, რაც ყველაფერში ვლინდებოდა. ყველაფერზე ჰქონდა საკუთარი აზრი და ყოველთვის სიმართლის მხარეზე იდგა.

ლიანა არ იყო მხოლოდ კაცთმოყვარე, მას უყვარდა ყოველი სულიერი, განსაკუთრებით კი შინაური ცხოველები, ბევრი მათგანი გადაარჩინა სიცოცხლე და შიმშილით დაღუპვას.

ლიანას კიდევ უფრო საფუძვლიანად დასახსიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ ამონარიდი ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემული მისი ინტერვიუდან: „ყოველთვის, როდესაც რაიმეს ვქმნი, ღმერთს ვევედრები, კარგად მიმყოფოს ჩემი ახალშობილი, დაიცვას უბედურებისგან ჩემი ქვეყანა, შეგვინარჩუნოს ჩვენი გენი, მინა, ბავშვობა, დედობა. მინა მე მაძლევს ძალას, ხოლო ცა – აღმაფრენას!“

ლიანა, შენისთანა ადამიანები მარად ცოცხლობენ და დავინწყვას არასოდეს მიეცემიან. შენი წასვლა თითოეული ჩვენგანისათვის მტკივნეული და გულდასაწყვეტია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი მაღალი სული და დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

მეგობრები

ქუთაისის რკინიგზის მე-20 საშუალო სკოლის 1952 წლის კურსდამთავრებულები ანრი ყრუაშვილი, გოგი დოლიძე და ალექსანდრე შენგელია ღრმა მწუხარებით იუნყებიან, რომ 85 წლის ასაკში გარდაიცვალა მათი სიყვარული მეგობარი და კლასელი

გიჭიკო (მიხეილ) ვასილის ძე ჭანტურაია

და თანაგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უღრმესი მწუხარებით იუნყება, რომ 89 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უზუცესი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მიხეილ ქავთარია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 18 IV, 14 სთ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შენობიდან. მის მერაბ ალექსიძის ქუჩა № 1/3.

გაფლანგული მილიონები ქობულეთში

შხარისსმოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები ქობულეთში – ოპოზიცია გაფლანგულ მილიონებზე საუბრობს.

ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებით, გელაურის დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის მოსაწყობად 3 მილიონზე მეტი დაიხარჯა, თუმცა სამუშაოები უხარისხოდ შესრულდა. სამუშაოების დასრულებიდან მალევე მთავარ მაგისტრალურ მილსადენს ხელახალი რეაბილიტაცია დასჭირდა და ამისათვის ბიუჯეტიდან დამატებით 240 ათასი ლარი დაიხარჯა.

ხელისუფლების ოპონენტები შესაბამის უწყებებს საკითხით დაინტერესებისკენ მოუწოდებენ. აღნიშნულ ბრალდებებს კი ქობულეთის მერიაში უარყოფენ.



რატომ არ შეუშვეს ანსამბლი „გორდა“ ისრაელში

საპარტიზმოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ბავშვთა ანსამბლ „გორდას“ ისრაელში არშეშვების მიზეზებს განმარტავს. როგორც „აქცენტს“ უწყებაში განუცხადეს, მესაზღვრეებისთვის საეჭვო გახდა ის გარემოება, რომ ანსამბლი ისრაელში მიდიოდა საბავშვო ფესტივალზე მონაწილეობის მიზნით და ანსამბლის 17 წევრიდან მხოლოდ 5 იყო ბავშვი, დანარჩენი კი 25 წლის ზემოთ პირები იყვნენ! შესაბამისად მათ უარი ეთქვათ ისრაელში შესვლაზე.

ქართველთა საკონსულტაციო ცენტრის მიხედვით ანსამბლ „გორდას“ 17-კაციანი ჯგუფის შემადგენელია მესაზღვრეებისთვის საეჭვო გახდა ის გარემოება, რომ ანსამბლი ისრაელში მიდიოდა საბავშვო ფესტივალზე მონაწილეობის მიზნით და ანსამბლის 17 წევრიდან მხოლოდ 5 იყო ბავშვი, დანარჩენი კი 25 წლის ზემოთ პირები იყვნენ! შესაბამისად მათ უარი ეთქვათ ისრაელში შესვლაზე.

ისრაელში საქართველოს კონსულის ესაუბრა ასევე ჯგუფის ხელმძღვანელს. ისრაელის მხარე, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ბავშვები, თანახმა იყო მიეცათ შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებისთვის, შეეძინათ ბილეთები საქართველოში დასაბრუნებლად უახლოეს რეისზე. თუმცა მშობლებმა აღნიშნულ შეთავაზებაზე უარი განაცხადეს. შესაბამისად, კომპანია myway, რომლის მეშვეობით ისინი ჩამოვიდნენ ისრაელში, თბილისში უახლოესი შემდგომი რეისი აქვს 17 აპრილს 13:30-ზე.



საქართველოს კონსული გაემგზავრა აეროპორტის წინასწარი განთავსების დაწესებულებაში საქართველოს მოქალაქეების მონახულებლად. ასევე კონსული უკვე ესაუბრა სადემორტოს ადმინისტრაციას და სთხოვა, განსაკუთრებით ყურადღებით იყვნენ ბავშვებთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ 5 ბავშვიდან 3-ს თან ახლავს ორივე მშობელი, მხოლოდ ორი ბავშვია მშობლის გარეშე, - განუცხადეს „აქცენტს“ საგარეო უწყებაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
 ბ. ჩიქოვასას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
 ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
 514 33-33-24

სპორტულად!



კასოვასა და სითოს მიკროფონით აფრქვევს

მროსი, კოტე, ჯამლეტი... საკმარისია, ეს სახელები გაიგონოს, ქართველი გულშემატკივარი გვარის გარეშეც მისვდება, ვისზეა საუბარი. აღნიშნულმა ტრიომ სპორტული კომენტატორობა ხელოვნების რანგში აიყვანა და, სხვა ღირსეულ კოლეგათა მსგავსად, მათი დამსახურებაა, ჩვენს გულშემატკივრებს განსაკუთრებული გემოვნება წლების განმავლობაში რომ უყალიბდებოდათ. დღეს ჯამლეტ ხუხაშვილი, უკვე მიკროფონის ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად, ჩვეული ყინით მიუყვება ძველი გვარდიის გაკვალულ ბილიკს და, როგორც ახლო წარსულში, მოვლენათა ეპიცენტრში ტრიო ალექს.

ლადა დიას, ალბათ, ცხოვრების ჯანსაღი წესისადმი ერთგულეობაშიც უნდა ვეძებოთ მისი დღეგრძელობის საიდუმლო, რომელთანაც თვით ავიაკატასტროფაც კი უძღური აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, ბედი ძლიერებს სწყალობთ როგორც სულიერად, ისე - ფიზიკურად. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები დიდი პატივისცემით ვულოცავთ 75 წლის იუბილეს ჩვენს ძვირფას მეგობარს, რადიო „ჯაკოს“ დამფუძნებელს, 26-საუკუნოვანი ქართულ-ებრაული ძმობის ტრუბადურს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს კალათბურთში, ევროლიგის ორგანიზაციის გამარჯვებულ გიორგი შერმადინის აღმზრდელს სამაგალითო მეოჯახეს, ბატონ ჯამლეტ ხუხაშვილს.

ანჯელინა ჯოლი ყოფილი ქმრის დაბრუნებას ცდილობს



„ანჯელინამ მიანიშნა ბრედს, რომ მასთან ურთიერთობის განახლება სურდა, მას სურს, რომ ისევ ერთი ოჯახი იყვნენ, თუმცა, როგორც ჩანს, ეს არ განხორციელდა. აი, ამიტომ ართულებს ანჯელინა ჯოლი ბრედ პიტთან გაყრის ყველა დეტალს.“ - განაცხადა წყარომ.

როგორც the sun ყოფილ წყვილთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით წერს, ეს მოულოდნელი შემობრუნება არის მიზეზი იმისა, რომ ჯოლი განქორწინების პროცესს აჭიანურებს. როგორც გამოცემა წერს, ბრედ პიტმა რომანტიული შერიგების იდეაზე უარი განაცხადა, თუმცა სურს, რომ ყოფილ მეუღლესთან შვილების გამო ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოს.

ლადო გუდიაშვილის ნახატი eBay-ზე იყიდება

ძარბაზი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნახატი eBay-ზე იყიდება. ნამუშევრის ღირებულებაა 120 000 აშშ დოლარი. ნახატი ზეთითაა შესრულებული და 1945 წლით დათარიღებული. როგორც მფლობელს აქვს მითითებული, ნახატი „საქართველოს ტრადიციული ფოლკლორული ფესტივალი“ იდეალურ მდგომარეობაშია. ლადო გუდიაშვილი მე-20 საუკუნის ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი იყო.



დახმარების მსურველთა საყურადღებოდ! მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გამომცემლობა:
 შპს „თანადგომა“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა „**კოლორ პრესი**“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22) ს-323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალაში დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
უენი გაზეთია, აუსილავლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

	უცხოური ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 2.6953; ევრო - 3.0481; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.5252; 100 რუბლი - 4.1943; თურქული ლირა - 0.4639; აზერბაიჯანული მანათი - 1.5854; 1000 სომხური დრამი - 5.5493.	აპრილი 16 აპრილისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბარა - ღამე +11, დღე +24 შიშანი რაიონები - ღამე +6, დღე +20 დასავლეთი საქართველო: ბარა - ღამე +8, დღე +22 შიშანი რაიონები - ღამე +4, დღე +19 თბილისი: ღამე +9, დღე +24	დაავიკაპით, მოგმართავთ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
--	--	--	--